გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ gmail.com

# სამტრედიის მაცნე

N22 (9309) 10 აგვისტო. 2019 წელი ფასი 50 თეთრი

როდის იყო ქართველი ოჯახს მოზიზილი ჰაცრივეს სცემდეს!

# 08. 08. 08.



5



## სტენდალი და შექსპირი თანამედროვედ _შავ-წითელში ჩატეული წასვლა-არწასვლა

ხმაური სიმშვიდის წილ

3

## ვალერი ფოცხვერია: „ყველა სამუშაო მაქსიმალურად ხარისხიანად შესრულდეს!"

2

3

პირველ აგვისტოს, სამ საათზე

## ცარიელი სავარძლებში... როდემდე?!

6





8

## ქინცო მასწავლებელი

7

სამტრედიელი მეექვსეკლასელები პრესტიჟული გადაცემის მონაწილეები გახდნენ

# ვალერი ფოცხვერია: "ყველა სამუშაო მაქსიმალურად ხარისხიანად შესრულდეს!"

ნათია ნაცვლიშვილი

***მუნიციპალიტეტის მერი, ვალერიანე ფოცხვერია ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლებს, მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში და იმ სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს შეხვდა, რომლებიც ჩვენი მუნიციპალიტეტის მასშტაბით სხვადასხვა პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებს ასრულებენ. შეხვედრის მიზანი იყო, მერს მოესმინა ყველა მხარის აზრი, აქვთ თუ არა რაიმე პრეტენზიები მერის წარმომადგენლებს მშენებლებთან, ხოლო მშენებლებს ესაჭიროებათ თუ არა პროექტების კორექტირება. მუნიციპალიტეტში მალე გააქტიურდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მიმდინარე სამუშაოები.***







ვალერიანე ფოცხვერიამ შეკრებილთ მიმართა: "ჩვენი მოთხოვნაა, ძირითადად, ადგილობრივი კადრები იყვნენ დასაქმებულნი, მაგრამ, თუ სამუშაოს ხარისხიანად ვერ შეასრულებენ, აზრი არა აქვს მათ მონაწილეობას. გორმაღლის ერთ-ერთ სკოლაში ადგილობრივი კადრის მიერ შესრულებული სამუშაო არ აკმაყოფილებს მოთხოვნას. აღმოჩნდა, რომ დასაქმებულმა "კაფელის" გაკვრა არ იცოდა და თავიდან არის სამუშაო შესასრულებელი. თუ შესაბამისი სპეციალისტი არ არის, ნურავინ მოკიდებს საქმეს ხელს. საკრებულოს წევრები და ადგილობრივი მოსახლეობაც ჩართეთ შემოწმების პროცესში, არსებობს მონიტორინგის ჯგუფი, ვისაც სურვილი გექნებათ, შეგიძლიათ იყოთ ამ ჯგუფის ხელმძღვანელი".

მუნიციპალიტეტის მერის თქმით, წლეულს ყველაზე ფართომასშტაბიანი პროექტები დაბა კულაშში განხორციელდა. "არც ერთ სოფელში სკოლა ისე არ გარემონტებულა, როგორც დაბა კულაშში", _ აღნიშნა ვალერიანე ფოცხვერიამ და განსაკუთრებით იმ მშენებლებს მოუწოდა, რომლებიც სამუშაოებს სკოლებსა და საბავშვო ბაღებში ასრულებენ: "მოგმართავთ ყველას და ვითხოვთ მაქსიმალურ ხარისხს!" მისივე თქმით, სამტრედიის მუნიციპალიტეტში სამუშაოები ისე დაიგეგმა, რომ ზაფხულის პერიოდი სრულიად დატვირთული იყოს. მერმა ასევე თხოვნით მიმართა საკრებულოს წევრებს, ლიზა კრავეიშვილსა და მანანა სირბილაძეს, ჩაერთონ სკოლებსა და ბაღებში მიმდინარე სამუშაოების მონიტორინგის პროცესში.

თითოეული მერის წარმომადგენლისაგან ვალერიანე ფოცხვერიამ დეტალურად მოისმინა ინფორმაცია, თუ როგორ მიმდინარეობს სოფლებში სხვადასხვა პროექტები. მერის წარმომადგენელმა ნაბაკევის ადმინისტრაციულ ერთეულში, ვეფხია წულეისკირმა მადლობა გადაუხადა შპს "გუდას" ნდობით აღჭურვილ პირს, დავით ჯანელიძეს, რომელიც ასევე ესწრებოდა შეხვედრას. ვეფხია წულეისკირის თქმით, ამ კომპანიამ თემში ყველა სამუშაო ხარისხიანად შეასრულა:

" ნაბაკევის თემში მიმდინარეობს სამუშაოები სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში, სულ ათი პროექტია განსახორციელებელი. შპს "გუდას" მადლობა, სკვერი კეთდება როგორც ხუნჯულაურში წყაროსთან, ისე ჩხენიშში, მშენებარე ტაძრის გვერდით, იქ ბებერი ხეები ავარიულ სიტუაციას ქმნიდა. ნინუაკუთხესა და კვირიკეში გაწმინდეს სანიაღვრე არხები, ეს მასალა ავტომატურად შეიტანეს და გაშალეს მშენებარე სკვერებში, რის შედეგადაც ეს დაჭაობებული ადგილები ამაღლდა. თავისი ხარჯით შეასრულეს სამუშაო, რაც პროექტით არ იყო გათვალისწინებული, მათ ხალხის აზრი და მოთხოვნა გაითვალისწინეს. დიდი მოწონება დაიმსახურა ტრენაჟორმა ნაბაკევში. ჩხენიშის საჯარო სკოლაში მიმდინარეობს საპირფარეშოების მოწესრიგების სამუშაოები, ეს ხარჯი განათლების სამინისტრომ გასწია."

ნიგორზღვისა და საჯავახოს თემში მერის წარმომადგენლის, შავლეგ თარგამაძის თქმით, ნიგორზღვას ჯერ რომ არ ღირსებია, ისეთი წყლის სისტემა კეთდება. შავლეგ თარგამაძე: "ზედა სახროს, იგივე კიკვაძეების უბანში იგეგმება წყლის ამოყვანითი სამუშაოები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ამ უბნის მთელი მოსახლეობა, დაახლოებით, 15 კომლი. პროექტი სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ხორციელდება, მეორე ნიგორზღვაში ხდება სამკილომეტრნახევრიანი გზის მონაკვეთის შეკეთება, ვინაიდან ლიცენზირებული ქვისა და ღორღის კარიერი არ გვაქვს, ვერ ხერხდება მეორე ნიგორზღვაში ბალასტის შეტანა, ამიტომ შევაჯერეთ მოსაზრებები მერიასთან, მოსახლეობასთან ერთად შევცვალეთ პროექტის გარკვეული ნაწილი და მოხდება გზის დახვნა, დაგრეიდერება და დაკატოკება. დასრულდა ასევე საჯავახოს ამბულატორიის კოსმეტიკური რემონტი."

შეხვედრაზე რამდენიმე მშენებელმა ისაუბრა, რომ საჭიროა პროექტების მცირედი კორექტირება, მათი საბოლოო, სრულყოფილი სახის მიღებამდე.

# დაიგო კომახოურის სასაფლაოსთან მისასვლელი გზა

გალაკტიონის ქუჩის გაგრძელებაზე, კომახოურის სასაფლაომდე 1000 მეტრი გზა დაიგო, სამუშაოები შეასრულა ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ " არქეოპოლისი" (ხელმძღვანელი ნანა ზარანდია). მუნიციპალიტეტის მერმა, ვალერიანე ფოცხვერიამ, ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელ ზურაბ გოგიასთან და ქალაქ სამტრედიაში მერის წარმომადგენელ თენგო ცაგურიასთან ერთად შესრულებული სამუშაოები მოინახულა.

მერმა კმაყოფილება გამოხატა გზის მშენებელი კომპანიის მიმართ და აღნიშნა: "რამდენიმე მიმართულებით აკეთებს გზებს ეს კომპანია, ეს გზა ერთ-ერთია, რომელიც სასაფლაოსთან მიდის. სასიამოვნოა, რომ მოწესრიგდა მიმდებარე ტერიტორია, სადაც იქნება ავტომობილების სადგომი. მოგეხსენებათ, სააღდგომოდ სხვადასხვა რაიონიდან ჩამოდიან სამტრედიაში მოქალაქეები, მათ ყოველთვის ექმნებოდათ პრობლემა, რაც საბოლოოდ აღმოიფხვრა. მომავალში ყველა სასაფლაოსთან მისასვლელი გზა დაიგება. თქვენც ხედავთ, მოსახლეობა როგორი კმაყოფილია, ვიზუალური დათვალიერებით, შესრულებული სამუშაო მოწონებას იმსახურებს, ექსპერტის დასკვნაც არსებობს და დადებითია, მაგრამ მის ხარისხს საბოლოოდ დრო გამოცდის".

ნათია ნაცვლიშვილი



# გაამართლა... პირველი მოსავალი მიიღეს

როგორც ვიუწყებოდით, ამას წინათ სამტრედიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ბოტანიკის ინსტიტუტის წარმომადგენელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქალბატონი ინეზა მაისაია სტუმრობდა, მას საჯარო სკოლების მასწავლებლებთან და სამტრედიაში მცხოვრებ ფერმერთა ერთ ნაწილთან საქმიანი შეხვედრა ჰქონდა. საუბარი უძველესი ქართული ხორბლის ენდემური ჯიშების მოყვანასა და პოპულარიზაციას შეეხებოდა. აღინიშნა, რომ ყველაფერ ამას უდიდესი ეროვნული, პატრიოტული მნიშვნელობა აქვს.

სწორედ ქალბატონმა ინეზამ გადასცა მუზეუმის მესვეურთ იშვიათი ჯიშის ხორბლის თესლი.

მიმდინარე წლის 20 ივნისს უკვე 27 ოქტომბერს დათესილი ხორბლის პირველი მოსავალი მიიღეს. "დიკა", "ხულუგო", "ხოტორა", "იფქლი", "დოლის პური", "მრავალმწკრივიანი ქერი" _ აი, ჯიშები, რომელთაგან მიღებული მოსავლით უზომოდ კმაყოფილნი არიან მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები და მათი გულშემატკივრები.

"სრულიად გამართლდა წინასწარ დაანონსებული _ ხორბლის ეს ჯიშები შესანიშნავად ხარობს იმერეთსა და სამტრედიაში, გაცილებით მეტ მოსავალს მივიღებდით ფრინველებს რომ არ ეეშმაკათ და არ დაეგემოვნებინათ მარცვლეული", _ გვითხრა მუზეუმის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა გულიკო ცინცაძემ და დასძინა, ბამბის კულტურა გვქონდა დათესილი, მაგრამ არ აღმოცენდაო.

ამჟამად ფეტვისა და ღომის მოსავალს ელოდებიან.

უდავოდ მისასალმებელია ყოველივე, რამეთუ ახალგაზრდობამ, მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ, მივიწყებას არ უნდა მივცეთ ჩვენი ეროვნული სიმდიდრე.

დაბოლოს, სასურველია, მისასალმებელი იქნება, ამ საქმით მუნიციპალიტეტში მოქმედი ფერმერული მეურნეობების მესვეურნი თუ დაინტერესდებიან, ხორბლის თესლს გაამრავლებენ და ადგილზე მოახდენენ უიშვიათესი ხორბლისგან მოსავლის მიღებას.

ლევან გაბიჩავა



# სტენდალი და შექსპირი თანამედროვედ _შავ-წითელში ჩატეული წასვლა-არწასვლა







**თეა ბაბუნაშვილი**

საკრებულოს ის სხდომა, აგვისტოში პირველი რომ იყო, მღელვარებით დაიწყო და სრული სიმშვიდით გაგრძელდა. ბოლო კვლავ ხმაურიანი ჰქონდა, მაგრამ დიდი არაფერი, უკეთესებიც, უფრო სწორად, უარესებიც გვინახავს. ხმაური იმიტომ, რომ დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ, სანამ საკრებულოს თავმჯდომარე პირველივე საკითხზე გადასვლას გამოაცხადებდა, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ფრაქციის თავმჯდომარემ, ემზარ შუბლაძემ, განცხადების გაკეთების ნებართვა ითხოვა. განცხადება კი ის იყო, რომ "ნაციონალები" მუშაობაში მონაწილეობას არ მიიღებდნენ, იმ სხდომაზე მათი დანიშნულება, წითელ ფურცელზე შავად დაწერილი მოწოდების "გახარია წადი" მდუმარედ გაჟღერება იქნებოდა. ასე მხოლოდ სამტრედიაში არ გახლდათ იმ დღეს, ოპოზიციამ დანარჩენ საქართველოშიც ამ ფორმით გამოხატა თავისი პოზიცია შინაგან საქმეთა მინისტრის მიმართ. ბუნებრივია, ამან უმრავლესობა, ალბათ, სხვაგანაც, და სამტრედიაშიც, აახმაურა. არ მოგვწონს ის, რაც 20 ივნისის ღამეს მოხდა, მაგრამ პროცესები თქვენგან მართული და წაქეზებული იყოო... _ შეაგებეს წითელ ფურცლებს სხდომის დარბაზში. ერთი სიტყვით, როგორც ხდება ხოლმე, ორივე მხარე თავისას გაიძახოდა. უმრავლესობამ იდეაც "შესთავაზა" უმცირესობას: ჩვენ დავიჭერთ ლოზუნგს "გახარია არ წახვიდე". ზოგიერთები, მწარედ ხუმრობას ვერ დავარქმევთ და მა უმრავლესობის წევრმა მიაწოდა. რა ვიცი, ესეც დავწერე, იქნებ სიმბოლურიც აღმოჩნდეს და...

ხმაურზე საუბარი დავასრულოთ, ამიტომ სხდომის ბოლოზეც აქვე ვიტყვით. მანანა სირბილაძემ მამუკა ბიბილეიშვილს ფურცელი აუფრიალა, რომელდღეს გავრცელებული სიტყვით ვიტყვით _ ღლიცინებდნენ, გვეკავებაო და ეკავოთ ბატონო! მოკლედ რომ ვთქვათ, დღეს საქართველოში შექსპირს ასე "კითხულობენ" _ წასვლა, არწასვლა, საკითხავი აი, ეს არის! სტენდალის "წითელი და შავი" კი, ყოველ შემთხვევაში იმ სხდომაზე, თანამედროვედ შავწითელ წარწერაში "ჩაატიეს".

მართალია, მდუმარედ არ მჯდარა, მაგრამ წითელზე შავად დაწერილი ფურცელი ოპოზიციის მეორე ნაწილმა, ავთანდილ სტურუამაც მოითხოვა "ევროპული საქართველოდან". პროტესტს შეუერთდა, თუმცა მალე მის მაგიდაზე დადებული გვარსახელის აღმნიშვნელ აბრაზე "მიყუდებული" "გახარია წადი", ჩამოვარდა. რადგან გაუძნელდა, იატაკზე დავარდნილი ტრიბუნიდან ჩამოსულზეც 20 ივნისის ღამეს გადაღებული სურათი იყო ამობეჭდილი, სადაც საკრებულოს წევრი პოლიციელის ფარით გახლდათ გადაღებული. არც გადატრიალებისკენ მოწოდება დარჩენილა შეუხსნებელი და არც 2003-ში დალეული ჩაი. თუმცა, "ჯერ შედით პარლამენტში და მერე დალიეთ ჩაი", საკრებულოს უმრავლესობიდან იმ წევრს მოაგონდა "ქრონოლოგიური სიზუსტით", მაშინ დალეული ჩაით და ზოგადად "ნაციონალებით", როგორც იქვე ჩაილაპარაკეს, თავად რომ ძალიან იხეირა.

დანარჩენი ყველაფერი წესისამებრ გაგრძელდა. სხდომაზე გამოტანილი 16-ვე საკითხიდან, 16-ვეს ხელის აწევით დაეთანხმა უმრავლესობა. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე შალვა არზუმანიანი ააიპების ბიუჯეტებში შესატან ცვლილებებსა და ხარჯის დამტკიცების საკითხებს, ბიუჯეტის შესრულების ანალიზსა და მასში შესატან ზოგიერთ ცვლილებას აცნობდა საკრებულოს წევრებს. იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო კომისიის თავმჯდომარე მანანა სირბილაძემ საპროცედურო საკითხებზე გაამახვილა ყურადღება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რამდენიმე ობიექტის საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ საკრებულოს 1-ლი ივლისის განკარგულებაში შესატანი ცვლილებები ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, გრიგოლ დარჯანიამ წარუდგინა შეკრებილებს.

ასეთი გახლდათ საკრებულოს კიდევ ერთი სხდომა, მის მორიგ შეკრებამდე.

# პირველ აგვისტოს, სამ საათზე



**ლევან გაბეჩავა**

მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების უფროსებთან, ზურაბ გოგიასთან და მიხეილ ლეჟავასთან ერთად, მედიის წარმომადგენლები გვიხმო და გეზი გომისაკენ ავიღეთ.

პაპანაქება სიცხის მიუხედავად, "რუსიების უბნის" ერთ-ერთი მონაკვეთიდან ტექნიკის მძლავრი ხმა ისმის. გამტარი არხის გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს აქ, რომელიც ყოველი გაწვიმებისას ნაშალი ქანით ივსებოდა და მოსახლეობას პრობლემებს უქმნიდა.

არხი ყოველმხრივ მოწესრიგდება. მოეწყობა დამცავი ჯებირები. რაც მთავარია, ინდ. მეწარმე "კახაბერ სტეფნაძემ", რომელიც აქ 65 ათასი ლარის სამუშაოებს ასრულებს, პროექტში ათამდე ადგილობრივი დაასაქმა.

პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს იმ 1400 მეტრი არხის გაწმენდაც, რომელიც ყუმურის დამშრობ არხს უერთდება. ამ სამუშაოს ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია "სარტყელი" ასრულებს.

სამუშაოების მიმდინარეობას, რომელიც სტიქიის პრევენციის ფონდიდან ფინანსდება, მუნიციპალიტეტის მერმა მაღალი შეფასება მისცა. გამოთქვა კმაყოფილება იმის გამო, რომ მოსახლეობას ურთულესი პრობლემები მოეხსნება და რიგ საკითხებთან მიმართებით შენიშვნებიც დააფიქსირა.

ჩვენთან ერთად იმყოფებოდა მერის წარმომადგენელი გომის ადმინისტრაციულ ერთეულში ზაზა ნიკოლეიშვილი.

სამუშაოთა შემსრულებლებს მარჯვენას უქებდნენ, მუნიციპალიტეტის მესვეურთ მადლობას ეუბნებოდნენ კმაყოფილი გომელები.

ფარნავაზის ქუჩის მე-5 ჩიხში მოძრაობა დროებით შეჩერებულია, თუმცა მუნიციპალიტეტის მერმა თანმხლებ პირებთან ერთად "წესრიგი დაარღვია" და ახლად დაგებული ასფალტის გზის ნაპირზე მანამ იარა, ვიდრე ბოლომდე არ გავიდა. აქაც გაცხარებული მუშაობა, კმაყოფილი მოსახლეობა და ქება მათი მისამართით, ვინც ნამდვილად იმსახურებს ამას.



წლებია, აქ ასფალტი არ გვქონია. ამჟამად კი ხედავთ, რა კარგი გზა გაკეთდა, _ კმაყოფილებას გამოხატავდნენ ფარნავაზის ქუჩის ამ მონაკვეთზე მცხოვრებნი.

გზა კი მართლაც კარგია. ფართო, განიერი. სამუშაოები აქ კომპანია "არქეოპოლისმა" შეასრულა.

როცა მოსწავლეებს მხიარული არდადეგები აქვთ და პედაგოგები შვებულებაში იმყოფებიან, საჯარო სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში სარეაბილიტაციო სამუშაოები მაშინ მიმდინარეობს.

ამავე დღეს მუნიციპალიტეტის მერი სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლასაც ეწვია და სკოლაში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარისხით დაინტერესდა.

მზე ჩასასვლელად ემზადებოდა, საოცრად დატვირთული პირველი აგვისტოს ერთი ჩვეულებრივი დღე რომ დასრულდა და ერთმანეთს დავემშვიდობეთ.



# საბავშვო ბაღი და სკოლები გომში...

**თეა ბაბუნაშვილი**

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნისთვის ემოციურად დატვირთული დღე გახლდათ, 8 აგვისტოს გომში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები მაინც მოინახულეს მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურიამ, გამგებლის მოადგილე დავით ბახტაძემ და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა ზურაბ გოგიამ. არა მხოლოდ სოფლის პროგრამების, რეგიონალური განვითარების ფონდისა და მთავრობის დაფინანსებით მიმდინარე სამუშაოები ზოგან დასრულებული, ზოგან კი დასრულების ფაზაშია. როგორც არაერთგზის აღგვინიშნავს, ყველა მათგანის ჩაბარებისას ხარისხი განმსაზღვრელია და მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები და შესაბამისი სამსახურები თითქმის ყოველდღიური მონიტორინგით ადევნებენ თვალყურს სამუშაოთა შესრულების დეტალებს. ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით სკოლებში სველი წერტილების, კარ-ფანჯრებისა და სახურავების მოწესრიგება ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის 31 სკოლაშია პრიორიტეტული. მათ შორის გომისა და დაბლა გომის საჯარო სკოლებიც გახლავთ. ორივე მათგანში წესრიგდება სველი წერტილები. გომის საჯარო სკოლაში კი ძველი ხის ფანჯრები მეტალოპლასტმასით ჯერ კიდევ გასულ წელს შეიცვალა.

გარდა ამისა, თუნუქით გადაიხურა და ახლით შეიცვალა ძველი იატაკი გომის საბავშვო ბაღში. სასწავლო დაწესებულებები, ისევე როგორც სხვაგან სამტრედიის მუნიციპალიტეტში, გომის თემშიც ინფრასტრუქტურულად რამდენადმე გამართული შეხვდებიან ახალ სასწავლო წელს.

მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ თითქმის ყველა შემთხვევაში გარკვეული შენიშვნები შეიტანა საპროექტო ორგანიზაციის მუშაობაში და სკოლის დირექტორების მოსაზრებებზე დაყრდნობითაც. საპროექტო ორგანიზაციას, რომელმაც კონკრეტული პროექტები შეადგინა, ხარვეზების სასწრაფოდ გამოსწორება დაავალა. „მოგეხსენებათ, ორიენტირი სველი წერტილების მოწესრიგებაზეა აღებული. ამჯერად გომის თემის ორ სკოლაში ვიმყოფებოდით. შენიშვნები გვაქვს როგორც უშუალოდ მშენებლობის, ასევე დაპროექტების კუთხითაც. იმედია, როგორც მშენებლობის ხარისხი, ასევე ხარვეზები პროექტში გასწორდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ არ ჩავიბარებთ უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოს. სასწავლო დაწესებულებები ძალიან სენსიტიური თემაა და განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება, ყველაფერი ბავშვებზე უნდა იყოს მორგებული. ზოგადად, ყველა საქმეს გულით უნდა ვაკეთებდეთ, რომ ერთხელ გაკეთებულზე მიბრუნება კარგა ხანს არ დაგვჭირდეს.''

გარდა მუნიციპალიტეტის ხელისუფლებისა, მონიტორინგის პროცესში ცალკეული თემის ხელმძღვანელობაც აქტიურად ერთვება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში გომის თემის წარმომადგენელი ზაზა ნიკოლეიშვილი და მაჟორიტარი საკრებულოში დავით ამაღლობელი ყოველდღიურ კონტროლს უწევენ სამუშაოებს და ყველა ნიუანსში გარკვეულები არიან.







# პროფილაქტიკურმა აცრებმა შედეგი გამოიღო

სურსათის ეროვნული სააგენტო

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს ქვეპროგრამის „ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა და იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია'' გეგმის ფარგლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად ორ ეტაპად, გაზაფხულსა და შემოდგომაზე ტარდება ცხოველთა ინფექციურ-ზოონოზური დაავადებების მიმართ პროფილაქტიკური აცრები.

ზოონოზი ბერძნულად „ცხოველთა დაავადებაა'' _ ინფექციური დაავადება, რომელიც გადადის ცხოველიდან ცხოველზე ან ადამიანზე და პირიქით.

ზოონოზური დაავადება დიდ საშიშროებას უქმნის როგორც მეცხოველეობას, ასევე ადამიანის ჯანმრთელობას. დიდ ეკონომიურ ზარალს აყენებს როგორც კერძო საკუთრებაში მყოფ პირუტყვს, აგრეთვე დიდ ფერმერულ მეურნეობებს.

ნოოანთროპონოზი _ ანთროპოზოონოზი _ ამ ტერმინით მოიხსენებოდა დაავადებები: ჯილეხი, ცოფი, ბრუცელოზი, ტუბერკულოზი, თურქული, და სხვა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში. ამ დაავადებებისგან არც სამტრედიის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობა და მათ საკუთრებაში მყოფი ცხოველები იყო დაცული, ვინაიდან არ არსებობდა ცხოველთა სასაკლაოები, არ ხდებოდა ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია, ვერ ხერხდებოდა ბიოპრეპარატებით მაქსიმალურად მომარაგება, ხორცის დამამზადებლების მიერ ხდებოდა ცხოველების თვითნებურად, კარდაკარ დაკვლა და დაკლული ხორცის რეალიზაცია ვეტერინარული კონტროლისა და ფორმების გარეშე. ეს შემდგომში ხელს უწყობდა ზოონოზს და მუნიციპალიტეტის სოფლებში ახალი კერების წარმოქმნას.

სამწუხაროდ, ასეთი დაავადების კერა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ზოგიერთ სოფელში დღეისათვისაც არსებობს. კერძოდ, დაავადება ჯილეხი, მოსახლეობისთვის კარგად ცნობილი იგივე „ციმბირული წყლული'', იგივე „ხუხარა'', რომელიც ისტორიულად ამ სახელით სულხან-საბა ორბელიანის დროს იყო ცნობილი. მისი აღმძვრელი „Bacillus antracis'' დაავადებულ კერაში, ნიადაგში 100-150 წელი ძლებს და ხელსაყრელ პირობებში არ კარგავს თავის პათოგენობას.

უკვე რამდენიმე წელია სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მთელ საქართველოში და აგრეთვე სამტრედიის მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად ტარდება ცხოველთა პროფილაქტიკური ვაქცინაცია ჯილეხის, ცოფის, ბრუცელოზის, თურქულის, ნოდულარული დერმატიტისა და სხვა დაავადებების მიმართ. ვაქცინაცია სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმის შესაბამისად მიმდინარეობს, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით სურსათის ეროვნული სააგენტოს შტატგარეშე ვეტერინარ ექიმებს და ვეტერინარ ტექნიკოსებს.

მათ მიერ 5 წლის განმავლობაში ვაქცინირებული, რეგისტრირებული და იდენტფიცირებულია 233 000-ზე მეტი ცხოველი.

ასევე რამდენიმე წელია სამტრედიის მუნიციპალიტეტში არსებულ მოსახლეობასა და მის კუთვნილებაში მყოფ ცხოველებში არ დაფიქსირებულა განსაკუთრებით საშიში დაავადებები.

ეს იმას ნიშნავს, რომ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გატარებული პროგრამის „ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა და იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია'' ფარგლებში მიმდინარე ცხოველთა პროფილაქტიკურმა აცრებმა შედეგი გამოიღო.

***ცხოველთა ვაქცინაცია უფასოა. მივმართავ მოსახლეობას, თავი არ აარიდონ მათ საკუთრებაში მყოფი ცხოველების აცრას. ხელი შეუწყონ ვეტერინარ სპეციალისტებს, რომლებიც მათი და მათ კუთვნილებაში არსებული ცხოველების ჯანმრთელობაზე ზრუნავენ!***

***გიგა გელოვანი***
***სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონული სამმართველოს ინსპექტორი***




# 114 სამტრედიელი პედაგოგი მასწავლებლის ჯილდოს მოლოდინშია

მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში ცვლილება შევიდა, სადაც 2 საკითხზეა ძირითადად აქცენტი გაკეთებული.

პირველი _ პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის უფროსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების განსაკუთრებული წესი; ანუ პრაქტიკოსი მასწავლებელი, რომელიც 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით ვერ მოიპოვებს უფროსი მასწავლებლის სტატუსს, სკოლის დირექტორი საჭიროების შემთხვევაში უფორმებს ვადიან შრომით ხელშეკრულებას და ეს პოზიცია ცხადდება ვაკანტურად. თუ ამ პოზიციას დაიკავებს უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე პედაგოგი, პრაქტიკოს მასწავლებელთან დადებული ხელშეკრულება ვადის გასვლამდე წყდება.

რაც შეეხება მეორე საკითხს, საჯარო სკოლაში დასაქმებულ საპენსიო ასაკს მიღწეული პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის ფულადი ჯილდოს გადაცემას, არის ნებაყოფლობითი. ამ შემთხვევაში საჯარო სკოლის ის პრაქტიკოსი მასწავლებელი, რომელიც პენსიონერია ან საპენსიო ასაკს მიაღწევს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ფულადი ჯილდოს მიღების მოთხოვნით სკოლის დირექტორის სახელზე წერს განცხადებას. მას მიეცემა ფულადი ჯილდო, რომლის ოდენობა შეადგენს ბოლო სამი თვის განმავლობაში ყოველთვიური შრომის ანაზღაურების (საშემოსავლო გადასახდელის გარეშე) საშუალო არითმეტიკულის 24-ჯერ ნამრავლს.

როდის მიიღებენ პედაგოგები საპენსიო ასაკის პრაქტიკოსი მასწავლებლის ჯილდოს, ზუსტი თარიღი უცნობია. სავარაუდოდ, პირველი ეტაპი სექტემბერში მიიღებს, ხოლო მეორე _ 2019 წლის დეკემბერში.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში ზემოხსენებული ჯილდოს მსურველი 114 მასწავლებელია.

***ნინო ნანიტაშვილი***

# როდის იყო არეულ ოჯახს მეზობელი პატივსა სცემდა!

თეა ბაბუნაშვილი

უკვე 11 წელი გავიდა რაც 08. 08. 08. დიდი ტკივილის, უსამართლობის, აგრესიის, ცრემლის სიმბოლოდ ითვლება საქართველოში. მას შემდეგ ვინ მოთვლის რამდენჯერ გადმოიწია მავთულხლართი საზღვრად მშობელ მიწაზე. სახელები იცოცხლე, ეპითეტებით ადვილად ისაზღვრება მადლიანი ქართული ენის წყალობით. კარგა ხანია, მცოცავია ოკუპაცია და კარგა ხანია, მტერია მოყვრად მოსული მეზობელი. თუმცა, ამ ბოლოს ეპითეტების შეცვლაც ნელნელა დავიწყეთ და უკვე ვეღარ ვიგებთ მტერი მტერია თუ მოყვარე! დრომ თუ პოლიტიკამ აურია თავგზა სამშობლოსთან დამოკიდებულებაში ისედაც თავგზააარეულ ქართველებს, სიყვარულიც რომ ბოლოდე იციან და სიძულვილიც, ღალატიც და თავდადებაც. სათავისოდაც და სასხვისოდაც კი ისინი ჭრიან და კერავენ, უჩინოებისგან ჩინი რომ მიიღეს და ქვეყანა მათი კეთილდღეობისთვის ზრუნვის საბაბით სამართავად ჩაიბარეს.

პოლიტიკა ყოველთვის მის გამტარებელს ემსგავსება და იმ ფერისაა, რა ფერიც ქვეყნის ხელისუფლება კონკრეტულ დროში. მერე დროც პოლიტიკის ფერს იღებს და ასე "გადადიოდა და მოდიოდა ქართული სისხლი"... ჯერ არდაღვრილის და დასაღვრელის გამართლებულ თუ გაუმართლებელ მსხვერპლად. ძნელი დასაჯერებელი იყო 9 აპრილის, 8 აგვისტოს შემდეგ გავრილოვი ქართული პარლამენტის მესაჭის სკამში, მაგრამ როგორც ყველაზე "განსწავლული" პოლიტიკოსები ამბობენ, პოლიტიკამ არ იცის... და ბევრი რამ არ სცოდნია უცოდინარ პოლიტიკას! ყოველ შემთხვევაში მათი ჩამონათვალის სია საკმაოდ გრძელია!

დიახ, გადაფასდა და თანაც ისტორიისთვის თვალის დახამხამებაში მოვლენების მართებულ-უმართებულობა. მაგრამ შვილის დაღვრილი სისხლი მაინც დედის დამდუღრულ ცრემლად დარჩა, მავთულხლართით დაკაწრული მიწა ამ მიწაზე შეყვარებული ქართველის მოუშუშებელ ტკივილად, მამა-პაპის საძვალე გაუგებარ საზღვრებს მიღმა. ის უბრალოდ ნათქვამი სიმართლე, მავთულხლართების განაპირას რომ თქვა სამშობლოს ბედით გულწრფელად შეწუხებულმა ქართველმა ქალმა, ყველაზე "განსწავლული" ბევრი პოლიტიკოსის ერთად აღებულ პროგნოზზე უკეთ ერგება დღევანდელობას: "როდის იყო არეულ ოჯახს მეზობელი პატივსა სცემდა!"

არ ვდავობთ, რუსეთი ოკუპანტია _ იწყება ასე, მაგრამ შემდეგ რა მოდის და როგორ, ამის გარკვევაში კიდევ ბევრჯერ 11 წელი გამოუვლით ქართველ პოლიტიკოსებს. რუსეთი მაინც აგრესორია, თუმცა აქვე... მტერი იყო თურქეთიც, მაგრამ დღეს მეგობარია _ ეს დღევანდელობის საპირწონეა, პოლიტიკას სათავისოდ მორგებულების მიერ გაჟღერებული და მერე სახალხოდ ატაცებული.

ისევ 8 რიცხვი წელიწადის მერვე თვეში 21-ე საუკუნის მე-8 წელიწადს! 08. 08. 08. სიმბოლურად დასაწერი, სისხლით შეფერილი და ღირსებით აცრემლებული. ისევ შინდისი და ისევ საქართველო. და კიდევ ერთი ფრაზა, რომლის ავტორი, სამწუხაროდ, არ ვიცი, არადა, დღევანდელობის და არა მხოლოდ დღევანდელობის, დასაბამიდან ქართველობის შეფასებად რომ გამოდგება: "გვიყვარს ილიაც, მაგრამ ახლა ფეხზე რომ წამოაყენა... ისევ წიწამურში მოვკლავთ!..."

დანარჩენი ისევ ისე, როგორც წინა 11 წლის მანძილზე. თუმცა, ნაადრევად განელებული მუხტით, მხოლოდ სიტყვებს რომ შემორჩენია გულისწყვეტად და ტკივილად. ყვავილები 8 აგვისტოს დაღუპულთა მემორიალთან და სანთლებად ანთებული ხსოვნა მეთერთმეტედ მოედო მთელ ქვეყანას. სამტრედიაშიც ზუსტად ისე, როგორც გასულ წლებში, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა და საჯარო მოხელეები დედის ძეგლთან შეიკრიბნენ, სადაც ქვეყნისთვის ღირსშესანიშნავ თარიღებს აღვნიშნავთ. დანარჩენი სამტრედიელები კი წელსაც ისევე პასიურობდნენ, როგორც გასულ წლებში, ამ დღისთვის საჭირო ხალხმრავლობა არც წელს ყოფილა თვალშისაცემი. ნებისმიერი ადამიანი კი, ქუჩაში რომ გააჩერო და ჰკითხო, ან სულაც გაშლილ სუფრასთან სადღეგრძელოში გულს ამოიღებს სამშობლოს სიყვარულსა და გმირების პატივისცემაზე საუბრისას.

დედის ძეგლთან კი სამტრედიაში 8 აგვისტოს მოვლენების ამსახველი ფოტოგამოფენა წელსაც სულისშემძვრელ ტკივილს აცოცხლებდა. შინმოუსვლელის დედა ისევ მდუმარედ გასცქეროდა შვილის მოსასვლელ გზას, მარმარილოზე ამოტვიფრული გვარ-სახელები ისევ ელოდნენ სანთლებად ანთებული ხსოვნის გაგრძელებას. "რუსეთი, რა თქმა უნდა, ოკუპანტია. ჯერ კიდევ 9 აპრილს რუსეთს ვებრძოდით. თუმცა, მაშინ ყველა ერთად იყო, მაშინ არავინ იყო პოზიცია და ოპოზიცია. სამწუხაროდ, დღესაც იმ გამოწვევების წინაშე დგას ქვეყანა, ილიას დროინდელ საქართველოში რომ იდგა, მე-19 საუკუნის საქართველოს რომ ჰქონდა. მაგრამ დრო მაინც იცვლება და უდიდესი მუსულმანურ სამყაროსა და მტრად მოსული ჩრდილოელი მეზობლის გარემოცვაში მყოფ საქართველოს მეტი გონიერება მართებს. საბჭოთა რუსეთი და გერმანია მტრები იყვნენ, დღეს მეგობრები არიან. თურქეთი, ოსმალეთი, ირანი ჩვენი მტრები გახლდნენ საუკუნეების მანძილზე და დღეს ვმეგობრობთ. თუკი რუსეთი ჩექმით არ იდგება საქართველოს ტერიტორიაზე და გაათავისებს იმას, რაც ჩვენს ქვეყანას არა რუსმა ხალხმა, არამედ რუსულმა პოლიტიკამ გაუკეთა, რატომაც არა, მათთანაც შეიძლება მეგობრობა!" _ ამბობდა მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია მემორიალთან მას შემდეგ, რაც იგი თაიგულით შეამკო. "ქვეყნისთვის, ერისთვის მნიშვნელოვანი და მძიმე დღეა. მიუხედავად იმის, რა შეხედულებებიც არ უნდა გვქონდეს ჩვენ, ისტორია ყველა მოვლენას საკუთარ ადგილს მიუჩენს. ასე მოხდება ამ შემთხვევაშიც ყველა ჩვენგანის პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად. რუსეთი ყოველთვის იყო და იქნება ოკუპანტი, მაგრამ აქვე, ამ ქართველი ბიჭების დაღვრილი სისხლი ქართველების ღირსებას, სამშობლოს ერთიანობას კიდევ უფრო მეტ შარავანდედს შესძენს და მომავალი თაობებისთვის გმირობის მაგალითად დარჩება." _ ეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას სიტყვებია, რომელიც აფხაზეთის ომში თავად იბრძოდა სამშობლოს მთლიანობისთვის.

იმ დღეს ბევრი იყო ყვავილები და უხვად ენთო სანთელი ხსოვნად. მემორიალიდან წასულმა მუნიციპალიტეტის მერმა, საკრებულოს თავმჯდომარემ, მერის მოადგილე დავით ბახტაძემ, კულტურის სამსახურის უფროსმა ნატალია მანჯგალაძემ, სამტრედიის მაჟორიტარის ბიუროს წარმომადგენლებმა, იმ ოთხი სამტრედიელის საფლავები შეამკეს ყვავილებით, 8 აგვისტოს რომ შეეწირნენ. ლევან მელქაძე, მარლენ ბარამია, ავედიკ ლომიძე და ლაშა თევზაძე, სამტრედიიდან სამშობლოს ერთიანობისთვის ბრძოლის სიმბოლოებად იქცნენ.





# 7 აგვისტოდან დაწყებული 8 აგვისტო

თეა ბაბუნაშვილი

***ეს უკვე ტრადიციაა, ყოველ შემთხვევაში, სამტრედიაში ასეა! როგორც სამტრედიელები ეძახიან, დედის ძეგლთან, ღირსშესანიშნავ თარიღებს რომ აღნიშნავენ ჩვენს ქალაქში, ოპოზიცია და ხელისუფლება ცალცალკე გადის. წლევანდელი წელი გამონაკლისი რატომ უნდა ყოფილიყო?! სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია და ფაქტი ყოველთვის ჯიუტია.***

***"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სამტრედიელმა წარმომადგენლებმა აგვისტოს 8-ს დაასწრეს, 7-ში, ანუ როცა 2008 წლის აგვისტოს მოვლენები დაიწყო, გადაწყვიტეს აღენიშნათ იმ ძნელადგასახსენებელი დღეებიდან 11 წელი. როგორც სჩვევია ხოლმე, დრო ყოველთვის სათავისოდ გადააფასებს მოვლენებს, მით უმეტეს საქართველოში, დროს რომც არ უნდოდეს, ვინ დააცლის! არა, იმაზე რომ მტრად მოსული მოყვარე ოკუპანტია, ყველა თანხმდება. ყოველ შემთხვევაში, საუბარს ასე იწყებენ, საინტერესოა, მერე როგორ აგრძელებენ თორემ! ბოლო დროის მოვლენებს თუ გადავხედავთ... თუმცა, ბოლო დროის მოვლენები არასდროს ილევა ქართულ პოლიტიკაში, ყველა დროს თავისი "ბოლო დროის" აქვს!***

ამიტომ, რადგან ყველამ ყველა დროის ბოლო იცის, ან ვითომ იცის, ან ვერაფერი გაიგო, უშუალოდ საქმეზე...

2008 წლის ომში დაღუპულთა მემორიალზე 7 აგვისტოს გასვლა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სამტრედიელმა წარმომადგენლებმა, 11 წლის წინ ამ მოვლენების 7 აგვისტოს დაწყებით გაამართლეს. გვირგვინით შეამკეს მემორიალი, სანთლები დაუნთეს სამშობლოს ერთიანობისა და მთლინობისთვის გმირულად დაცემულთა ხსოვნას და კიდევ ერთხელ ხმამაღლა თქვეს, რომ რუსეთი ოკუპანტია!



"სამწუხაროდ, ისმის და საქართველოში არ უნდა ისმოდეს, რომ 2008 წლის ომი რუსეთის მხრიდან არ დაწყებულა, რომ იგი საქართველომ დაიწყო და უაზრო ომი იყო. ტკივილითა და ამავდროულად სიამაყით აღსავსე 8 აგვისტოს, ქართველმა ხალხმა მსოფლიოს დაანახა, რომ ვერ დაამარცხებენ და რომ ყველაფრის ფასად იბრძოლებენ სამშობლოს გამთლიანებისთვის, რომლის 20 პროცენტი დღეს რუსეთის მიერაა ოკუპირებული. უნდა გვახსოვდეს, 2008 წლის 7 აგვისტოს დაიწყო მორიგი ბრძოლა სამშობლოს ერთიანობისთვის!"

ბუნებრივია, კითხვა, ხომ შეიძლება ქვეყნისთვის ამდენად მნიშვნელოვანი თარიღები მაინც აღნიშნოს ერთად ხელისუფლებამ და ოპოზიციამ, წელსაც დავსვით, რომელსაც "ნაციონალების" ლიდერმა, ემზარ შუბლაძემ ასე უპასუხა: "გააჩნია, ვინ არის ხელისუფლებაში! როცა ხელისუფლებაში არის კოლაბორაციონალისტი მთავრობა, ადამიანები, რომლებიც მიზიდულები არიან რუსეთისკენ და ეს 20 ივნისის მოვლენებმა ღიად ცხადყო, ბუნებრივია, მათთან არაფერი გვესაქმება. მხედველობაში მყავს ხელისუფლება, ჯერ ისევ კითხვის ნიშნებს რომ სვამს აგვისტოს ომთან მიმართებაში, თორემ კონკრეტულ პიროვნებებთან არანაირი დისკომფორტი და პრობლემა არ მაქვს."



რიგ საკითხებში რადიკალიზმს მოკლებული ოპოზიციური უმცირესობის შედარებით ლიბერალი წევრი დავით ნიკოლეიშვილი, ამ შემთხვევაში თანამოაზრეებივით რადიკალური გახლდათ: "მიუხედავად ჩემი შედარებით რბილი და არარადიკალური მიდგომებისა, საკრებულოს სხდომებზე რიგ საკითხებში, ამ შემთხვევაში დიახ, რადიკალური ვარ! ის, რომ ასეთ თარიღებს ერთად არ აღვნიშნავთ, არც ერთი მხარისთვის არის მისაღები. მაგრამ აქვე ისიც, რომ ხელისუფლებამ მათი პოზიციიდან გამომდინარე თავად ჩაიყენა თავი ამ მდგომარეობაში.

იგივე კითხვა გვქონდა გივი ღაღანიძესთან, რომელიც, ფაქტობრივად, მამების თაობიდან არის და სხვებზე მეტად შეიძლება იცოდეს ერთიანობის არათუ ფასი, არამედ შედეგი ქვეყნის მართვის საქმეში. "დავიწყებ იმით, რომ საუკეთესო ვაჟკაცები, შვილები დავკარგეთ ამ ომში და ეს დიდი ტრაგედიაა ქვეყნისთვის, ოჯახისთვის, მშობლისთვის! თავს ვინუგეშებთ და ეს დიდი ნუგეშია, რომ ისინი გმირულად დაეცნენ და სამშობლოს ერთიანობისა და მშვიდობისთვის იბრძოდნენ. ეს ხომ ქართველობის უპირველესი ნიშაა. ამიტომ, განსაკუთრებით მტკივნეულია რომ გიმტკიცებენ, ომი საქართველომ დაიწყო! მტკივნეულია, რომ გვავიწყდება, ქართველი არასდროს დათმობს თავისუფლებას. რაც შეეხება ამ მემორიალთან ცალ-ცალკე გამოსვლის ფაქტს, მე ვფიქრობ, აქ ერთად უნდა იდგეს ერი და ბერი, პოზიცია და ოპოზიცია, მაგრამ ამის სურვილი, პირველ რიგში, მათგან, ხელისუფლებიდან უნდა მოდიოდეს, ჩვენ ამჯერად უმცირესობაში ვართ და მათ ინიციატივას ველოდებით!"

მტკივნეულია სიკვდილი, დასანანია ახალგაზრდების დაღვრილი სისხლი, მაგრამ ისინი გმირები არიან და სამშობლოს თანაგრძნობასთან ერთად ასეთი გმირი მომავალიც უნდა მივულოცოთ! ასეთი გახლდათ იმ დღის პათოსი დაღუპულთა მემორიალთან, სადაც კიდევ ერთხელ ითქვა _ რუსეთი ოკუპანტია!

2008 წელს დაღუპულთა სულის მოსახსენებელი პანაშვიდი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების ინიციატიცით, დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარში გაიმართა, იმ ტაძარში, რომლის გუმბათიც მთელ ქალაქს გადაჰყურებს და სულ ახლოს მყოფი იმ მემორიალიდანაც კარგად ჩანს. აქედან ძალიან ახლოა გზა, რომელიც ტაძართან მიგვიყვანს. ახლა მთავარია, ამ გზაზე ერთად სიარულს მივეჩვიოთ!

# ცარიელი სავარძლები... როდემდე?!

**ლევან გაბეჩავა**

ყოველგვარი ვრცელი შესავლის გარეშე ძირითად სათქმელზე მოგახსენებთ.

წლებია, საგანმანათლებლო რესურსცენტრს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მართავს (არცთუ ურიგოდ). ტრადიციულად ტარდება საჯარო სკოლების დირექტორთა ოთხშაბათის ტრადიციული თათბირები. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ რეგიონისა და ცენტრალური შესაბამისი უწყებების მიერ ინიცირებულ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებსა და აქტივობებში. რესურსცენტრში დღეს დასაქმებულთაგან თითოეული შესანიშნავად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას.

და მაინც, წლებია, რესურსცენტრს უფროსი არ ჰყავს.

რა ხდება?

ხელოვნურად რატომ ვართულებთ საქმეს?

გაოცების საბაბს რატომ ვაძლევთ საზოგადოებას?

...

ანალოგიური ვითარებაა სოციალური მომსახურების სააგენტოს სამტრედიის განყოფილებაშიც. აქაც წლებია, რაც მოვალეობის შემსრულებელი უძღვება ორგანიზაციის საქმიანობას, აქაც მოვალეობის შემსრულებლიდან დაწყებული არაერთი ღირსეული ადამიანი მუშაობს.

მოვალეობის შემსრულებელი ერთი, ორი, სამი, ექვსი თვე... ერთი წელი, მაგრამ ამდენ ხანს?

არ გვგონია, როგორც ერთი, ისე მეორე უწყების ხელმძღვანელისათვის გათვალისწინებული პროცედურები დაუძლეველი, გადაულახავი ბარიერი აღმოჩნდეს, მით უფრო, რომ ასეთი კადრების მოძებნა სამტრედიაში სრულებითაც არაა ძნელი, პირიქით. მრავლად არიან ღირსეულნი, ერუდირებულნი, რომელთა დანიშვნა ხსენებულ ვაკანსიებზე არათუ ავნებს საქმეს, ბევრ სიკეთეს მოუტანს.

...

საკმაოდ დიდი ხანია, ცარიელია მუნიციპალიტეტის პირველი ვიცე-მერის, მერის პირველი მოადგილის სავარძელიც.

არც ამ პოზიციაზეა ძნელი, მოიძებნოს ღირსეული კადრი სუფთა სინდისით, ნათელი წარსულითა და საქმის კეთების სურვილით გულანთებული.



დაბოლოს, მაინც სხვაა უფროსი და სულ სხვა მოვალეობის შემსრულებელი. თუნდაც იმიტომ, რომ არ იცის, ვის რა აზრი მოუვა თავში და როდის დაუნიშნავენ ახალ უფროსს.

ასე რომ, ყველაფერს დრო, წესი, რიგი, საზღვარი აქვს, ბატონებო!

# ფერისცვალებას გილოცავთ!

უფალი ჩვენი და მაცხოვარი იესო ქრისტე ხშირად ეუბნებოდა თავის მოწაფეებს, რომ ადამიანთა გადარჩენისათვის იგი უნდა ეწამოს, უნდა მოკვდეს და მესამე დღეს აღდგეს. მაგრამ წამებასა და სიკვდილს რომ მისდამი, როგორც ღვთის შვილისადმი, რწმენა არ შეერყია მის მოწაფეებში, იგი მათ წინაშე გარდაისახა, ფერი იცვალა.

ფერისცვალება ქრისტეს სასწაულებრივი გარდასახვის აღსანიშნავი დღესასწაულია. ამ დღეს ხდება ყურძნის, ხილისა და ხორბლის კურთხევა.

შესაბამისი ღვთისმსახურება აღევლინება ფერისცვალებას მოქმედ ტაძრებში, სადაც ლოცულობენ:

***"მთასა ზედა ფერი იცვალე, ქრისტე ღმერთო, და რაოდენ ძალ-ედვა მოწაფეთა შენთა, დიდებაჲ შენი უჩუენე, რათა რაჟამს იხილონ ჯუარცმაჲ შენი, გულისხმა ჰყონ, ვითარმედ ვნებაჲ იგი ნებსით არს და სოფელსა უქადაგონ, ვითარმედ შენ ხარ ჭეშმარიტად ბრწყინვალებაჲ მამისა".***

ახალი სტილით 19 აგვისტოს აღინიშნება ფერისცვალების დღესასწაული (ძველი სტილით 6 აგვისტო).

***ლევან გაბეჩავა***



# სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლობა სამტრედიასთან

**ნინო ნანიტაშვილი**

***საქართველოს სახალხო დამცველი გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს "ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში". აღნიშნული პროექტის ფარგლებში სახალხო დამცველის აპარატმა 2019 წელს დაგეგმა, განახორციელოს თვითმმართველობის ორგანოების გენდერული პოლიტიკის კვლევა, რაც გულისხმობს მუნიციპალიტეტების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ინიციატივების ანალიზს და მათი გავლენის შეფასებას ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ქალებისა და მოწყვლადი ჯგუფების კეთილდღეობაზე.***

7 აგვისტოს სამტრედიის მუნიციპალიტეტში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები. "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერის დეპარტამენტის მთავარმა სპეციალისტმა, ნინო იაკობიძემ მუნიციპალიტეტების გენდერული პოლიტიკის კვლევის მიზანზე გაამახვილა ყურადღება: "მუნიციპალიტეტების გენდერული პოლიტიკის კვლევის მიზანია, შეფასდეს, თუ რა ღონისძიებები დაიგეგმა და განხორციელდა თვითმმართველი ორგანოების მხრიდან გენდერული თანასწორობისა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით, პასუხობს თუ არა მათ მიერ დაგეგმილი პოლიტიკა იმ საჭიროებებს, რომლებიც სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფს მიკუთვნებულ ქალებს აქვთ. კვლევის ფარგლებში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით დაგეგმილი და განხორციელებული პოლიტიკის შეფასებაზე, თუმცა, ვინაიდან ქალთა ეკონომიკური გაძლიერება მჭიდროდაა დაკავშირებული გენდერული თანასწორობის სხვა ასპექტებთანაც, კვლევა ასევე შეეხება ოჯახში ძალადობის, ადრეულ ასაკში ქორწინების, ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების, ქალთა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობასა და სხვა საკითხებს. ჩვენთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, ამ პროცესში შევხვდეთ როგორც მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს, ასევე მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ პირს და მათგან მივიღოთ ინფორმაცია მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ".





სამტრედიაში სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები შეხვდნენ მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს და ისაუბრეს კონკრეტულ მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე. შეხვედრაზე ითქვა, რომ სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობაში ქალთა შრომითი უფლებებისა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისკენ მიმართული ინიციატივების ინტეგრირება უზრუნველყოფილია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერის დეპარტამენტის მიერ შემუშავებულ 2019-2020 წლების გენდერული თანასწორობის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში.

თამილა კეკელიძე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში: "საქართველოს მთავრობამ ბოლო წლების განმავლობაში არაერთი ნაბიჯი გადადგა, რათა ქვეყნის პოლიტიკის დაგეგმვისას ქალთა პრობლემებისა და საჭიროებების ასახვა და ინტეგრირება მომხდარიყო სხვადასხვა დოკუმენტში. ამის დასტურია მუნიციპალიტეტების დონეზე ინსტიტუციური მექანიზმის ჩამოყალიბება და შემდგომში მისი გაძლიერება გენდერული საბჭოებისა და სამოქმედო გეგმების სახით. სამტრედიაში ჩვენი საბჭო ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობს და ქალთა პრობლემების მოგვარებისათვის არაერთი სასიკეთო საქმე გვაქვს გაკეთებული".

შეხვედრაზე ხაზგასმით ითქვა, რომ თვითმმართველობის ორგანოების გენდერული პოლიტიკის შეფასება ასევე გულისხმობს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლობისა და პარტნიორობის გაღრმავებას მუნიციპალიტეტების ორგანოებთან. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ: მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები, თვითმმართველ ორგანოებში დასაქმებული გენდერის მრჩევლები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მუნიციპალიტეტებში მცხოვრები და სერვისის მიმღები ქალები და ახალგაზრდები.

კვლევისათვის სამიზნე რეგიონებია: იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, გურია, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი და თბილისი.

სახალხო დამცველის აპარატის გენდერული დეპარტამენტის თანამშრომლებმა მზადყოფნა გამოთქვეს, მჭიდროდ ითანამშრომლონ სამტრედიის მუნიციპალიტეტთან.

# სამტრედიელი მეექვსეკლასელები პრესტიჟული გადაცემის მონაწილეები გახდნენ

ნათია ნაცვლიშვილი

***საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში მთელი წლის განმავლობაში ვიხილავთ გადაცემას "ხართ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი". გადაცემას სტუმრობენ ცნობილი ადამიანები, რომელთაც უნდა გასცენ პასუხი პირველი-მეექვსე კლასის სასკოლო პროგრამის კითხვებს. იმ შემთხვევაში, თუ ცნობად სახეს დასჭირდა დახმარების გამოყენება, დარბაზში მყოფი ნიჭიერი ბავშვები მას ეხმარებიან. ეს ნიჭიერი ბავშვები კი, გადაცემის გუნდის მიერ მთელი საქართველოს მასშტაბით შეირჩევიან. გადაცემაში მონაწილეობის მსურველი მოსწავლეები პირველ ეტაპზე ავსებენ ტესტებს, სადაც დასმულია შეკითხვები სასკოლო პროგრამიდან, ჟიურის მიერ მოწონებული ბავშვები მეორე ტურში გადიან გასაუბრებაზე. აქ კი გაირკვევა ამა თუ იმ მოსწავლის ინტელექტუალური შესაძლებლობების მრავალმხრივობა. თუმცა, ამ გადაცემისთვის ბავშვები არა მარტო ინტელექტით და განვითარების დონით შეირჩევიან, ისინი უნდა იყვნენ თავდაჯერებულნი, თვითდარწმუნებულნი და მოტივირებულნი.***

ამჯერად მთელი ქვეყნის მასშტაბით, კონკურსში მონაწილე 2000 ბავშვი გადავიდა მეორე ტურში, იმერეთში ოთხასმა ბავშვმა გაიარა ტესტირება, ხოლო გასაუბრებაზე გასვლის უფლება ორმოცდაორმა მოიპოვა, ამათგან კი, სამი საუკეთესო შეირჩა. ამ საუკეთესო სამეულიდან ორი სამტრედიის საჯარო სკოლის მოსწავლეა, ერთი კი ქუთაისიდან არის. საუკეთესოთა შორის არიან სამტრედიის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე, კინგსის ოქროს მედალოსანი, მარიამ ახობაძე და სამტრედიის მეთერთმეტე საჯარო სკოლელი ბარბარე მიქელაძე. ამ ნიჭიერ, ლამაზ და ძალიან საყვარელ ბავშვებს გადაცემის წამყვანი, დავით ველიჯანაშვილი გადამღები ჯგუფის წევრებთან ერთად შინ ეწვია და მათ შესახებ საიმიჯო კლიპები მოამზადა.

გადაცემა სექტემბრიდან კვირაში ორჯერ გავა ეთერში და ბავშვები გასცემენ პასუხებს სხვადასხვა სახის შეკითხვებს მოწვეულ სტუმართან ერთად. რომელ ხუთეულსაც (გადაცემაში სულ ექვსი ხუთეული მონაწილეობს) ყველაზე მეტი ქულა ექნება, მას საჩუქრად გადასცემენ ლეპტოპს, ხოლო, მეორე ადგილზე გასულ ხუთეულს "ბიბლუსის" 200 ლარიანი ვაუჩერით დაასაჩუქრებენ. გადაცემის ყოველი სტუმარი შემოსულ თანხას სრულად გადაურიცხავს ამა თუ იმ სკოლას ან მოსწავლეს, ვისაც ეს დახმარება ესაჭიროება. ნიჭიერი ბავშვები რედაქციაში გვეწვივნენ და თავიანთი შთაბეჭდილებები გაგვიზიარეს:

მარიამ ახობაძე: "ჩემმა დირექტორმა, ხათუნა ფაილაძემ შემარჩია ამ კონკურსისათვის, გადავლახე პირველი, ტესტირების ეტაპი და გასაუბრებაზე გავედი. გადაცემის შემოქმედებითი ჯგუფის წევრებმა მკითხეს, რა საგნიდან დაგისვათ შეკითხვაო? ვუპასუხე, მათემატიკა კი მიყვარს, მაგრამ ახლა არ მინდა-მეთქი და გეოგრაფია ავირჩიე. პირველად მკითხეს, რამდენი კონტინენტი და ოკეანეა დედამიწაზე, მერე მკითხეს, რომელია ყველაზე დიდი ღრმული, დამასახელებინეს დედამიწის სამი ჭკვიანი ადამიანი ჩემეული შეფასებით. აინშტაინი, ლეონარდო და ვინჩი და მიქელანჯელო დავასახელე. ყველა ბავშვი გასაუბრების დროს სცენაზე იდგა, გასაუბრების ბოლოს სცენიდან ჩამომიყვანეს, ჩვენთან მოდიო მითხრეს და მამღერეს ინგლისური სიღერა "woman in love", როგორი გოგოც ხარ ისე მღერიო, მითხრეს...

ძალიან გამახარა ჩემს სახლში, სოფელ ბაშში გადამღები ჯგუფის სტუმრობამ, მათ შესახვედრად რომ გამოვედი, ენა ვერ ამოვიღე სიხარულით. ემოციები მომეძალა, მერე მკითხეს, მთელი დღის განმავლობაში რას ვაკეთებდი. დაინტერესდნენ, რა წიგნებს ვკითხულობდი, როგორ ვხსნიდი მათემატიკურ ამოცანებს, რით ვერთობოდი, კლასობანას ვთამაშობდი და-ძმებთან ერთად და ეს ყველაფერი გადაიღეს. ერთი სული მაქვს, როდის ვიხილავ ჩემს თავს ტელეეკრანზე."

ბარბარე მიქელაძე: "კლასის დამრიგებელმა მანანა ტყეშელაშვილმა გვითხრა ჩვენს კლასელებს, რომ იწყებოდა ამ გადაცემის კასტინგი და ქუთაისში, ნიღბების თეატრში წავსულიყავით მონაწილეობის მისაღებად, წაველი და ტესტირება გავიარე, კითხვებს გამორიცხვის პრინციპით ადვილად გავართვი თავი. გასაუბრებაზე მკითხეს, რა არის ჩემი ჰობი, ვუპასუხე, რომ მიზიდავს ხატვა, ცეკვა და სიმღერა, ქორეოგრაფიული ანსამბლის, "იმერის" წევრი ვარ, მთხოვეს მეცეკვა და აჭარული ვიცეკვე, მამღერეს კიდეც. ვუთხარი, რომ პიანინოზე ვუკრავდი. შევასრულე სიმღერა "როცა ჩაქრება ჭადრებში". დაინტერესდნენ, რომელ საგანში ვგრძნობდი თავს ყველაზე კარგად. ვუპასუხე, რომ ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მერე გრამატიკიდან ტირესა და დეფისის გამოყენების წესებზე ვისაუბრე. მომავალი პროფესიის შესახებ რომ მკითხეს, ვუთხარი, რომ არქიტექტორი მინდა გავხდე და ლამაზი, მინის შენობები ავაშენო, მსოფლიოს საუკეთესო შენობებს რომ გაუტოლდეს. ხატვითაც კარგად ვხატავ, მკითხეს, ვინ არის ჩემი საყვარელი მწერალი, ილია ჭავჭავაძე დავასახელე. დაინტერესდნენ, თუ რომელ წიგნს გამოვარჩევდი, "პატრა უფლისწულის" და "ბიძია თომას ქოხის" შესახებ ვისაუბრე. აღვნიშნე, რომ "ბიძია თომას ქოხში" სევდიანი ისტორიებია და შემეცოდა ნაწარმოების პერსონაჟები. მუსიკაში ვისაუბრე რომ დიეზი ნახევარი ტონით ამაღლებს ნოტს, ხოლო ბემოლი ნახევარი ტონით ადაბლებს. შემაქეს და დამემშვიდობნენ.







ძალიან მოულოდნელი იყო ჩემს სახლში გადამღები ჯგუფის წევრების სტუმრობა, წინასწარ დედას დაურეკეს, მე არაფერი ვიცოდი. თავიდანვე გვითხრეს, 25 ივნისს იქნება პასუხები, თუ ვინ გადავიდაო, რადგან უკვე ივლისი დადგა, იმედი დავკარგე, თუმცა გულში პატარა ნაპერწკალი მაინც დამრჩა. 10 ივლისს რომ მოვიდნენ და კარი გავაღე, ეს პატარა ნაპერწკალი დიდ ცეცხლად გადაიქცა, არ ვიცოდი, რა მეთქვა და ადგილზე გავქვავდი. მითხრეს, შენ გადასული ხარო და დავმუნჯდი. დაინტერესდნენ, თუ რას ვაკეთებდი თავისუფალ დროს, ვუპასუხე, რომ ვთამაშობ ან ვკითხულობ. ამჟამად "ძმები გრიმების ზღაპრებს" ვეცნობი, მიყვარს პოეზია. სხვათა შორის, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა გამარჯვებულად გამომავლინა ნომინაციაში "ყველაზე კარგი დეკლამატორი". მთხოვეს, მუსიკაზე რომ დადიხარ, დაგვიკარიო, ბახის "სარაბანდა" დავუკარი. ტელეკამერამ ბევრი რამ გადაიღო და ტელევიზიით იქნება ნაჩვენები, თუ როგორ ვსრიალებ ეზოში გორგოლაჭებზე. ინტერვიუ ბაღში, ეკლესიის ეზოში ჩაწერეს, რას გააკეთებ ჩვენს გადაცემაშიო, მკითხეს. დავპირდი: დავამტკიცებ, რომ ვარ სუპერმეექვსეკლასელი, განსაკუთრებულად ვემზადები, ინტენსიურად ვკითხულობ მითოლოგიას, მსოფლიო ისტორიასა და გეოგრაფიას, ველოდები მოუთმენლად გადაცემას."

წარმატებებს ვუსურვებთ ნიჭიერ ბავშვებს!

## მოგონებები სკოლაზე

# ყრმობის სახსოვარი

როცა სამტრედიის №12 საჯარო სკოლის (ყოფილი ამიერკავკასიის რკინიგზის №14 საჯარო სკოლა) ზარი რეკავს, ბავშვობის ხსოვნის მატიანედან მოსწავლეობის მოგონებები წამოიშლება, წლები უკან რჩება და კვლავ ბავშვად იქცევი. დაუვიწყარ ისტორიებს იგონებ, საუნჯედ ქცეულს _ ყრმობის სახსოვარს _ მარადჟამისათვის ბოძებულს.

რა გამოჩენილ პედაგოგებს იტევდა ეს სკოლა. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. ქალბატონები: ლამარა ქავზინაძე, ნათელა შავიძე, შურა კახაძე, თალიკო ქართველიშვილი, ქსენია კვინიკაძე, ტატიანა ტაბიძე, ლილი კაზაროვა, ქსენია ღაღანიძე, ლამარა შენგელია, ლამარა კარტოზია, თამარ რუხაძე. ბატონები: გოგი კაჭახიძე, ილია გოგოძე, გივი ანდრიაძე, გოგიტა მაჩიტიძე, გენო მუქერია, გივი კალაძე... ეს იმ პედაგოგთა ჩამონათვალია, რომლებმაც გაალამაზეს ჩემი მოსწავლეობის წლები. მაგრამ ამათგან მინდა გავიხსენო საყვარელი, გამორჩეული პედაგოგი, ქალბატონი ზინაიდა (ზინა) შენგელია და მის განვლილ წლებსა და მოღვაწეობაზე გიამბოთ.

ერთი შეხედვით, ქალბატონი ზინა მკაცრი შეიძლება მოგჩვენებოდათ, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. მოსიყვარულე, გვერდით მდგომი, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული.

ქალბატონი ზინაიდა შენგელია 1919 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ მიწაბოგირაში დაიბადა. აქვე მიიღო დაწყებითი განათლება. 1952 წელს ირიცხება ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (დაუსწრებელ განყოფილებაზე), რომელსაც 1955 წელს წარმატებით ამთავრებს და ენიჭება საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლის კვალიფიკაცია. იგი იწყებს აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას სამტრედიის რკინიგზის 24-ე საშუალო სკოლაში დირექტორ შუშანა ქართველიშვილის ხელმძღვანელობით. მოსწავლეები სწავლობდნენ რაიონის ისტორიას, გეოგრაფიას, ეკოლოგიას, სკოლის ისტორიას. გაკვეთილზე არასდროს შედიოდა რუკის გარეშე.




დაუვიწყარი იყო ჩემთვის ღონისძიება, რომელიც ქალბატონმა ზინამ ჩაატარა _ შეხვედრა შორეული მოგზაურობის გემის კაპიტანთან, ანტარქტიდის მკვლევართან, ბატონ გიორგი ბარათაშვილთან.

1970 წელს ზ. შენგელიას მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება. ის შესანიშნავი მეუღლე და საამაყო ორი ქალიშვილის დედა იყო.

1980 წლიდან ქალბატონი ზინაიდა რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერია, მაგრამ ის არ წყვეტს აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას. ოჯახში მარტო დარჩენილი ზინა მასწავლებელი არ ეპუება თავის ასაკსა და ჯანმრთელობას. მთელ დროს, ენერგიას, გამოცდილებას, სიყვარულს ახმარს სკოლას. მისი უმცროსი ქალიშვილი იგონებს: "ერთ საღამოს დიდი თოვლი მოვიდა. დედა, ჩვეულებისამებრ, უთენია ადგა სკოლაში წასასვლელად. რეკავს სკოლის დირექტორი და აფრთხილებს, გზაზე დიდი თოვლია და არ მოვიდეს სკოლაში. იგი ყურად არ იღებს ამ გაფრთხილებას. ამბობს, როგორ შეიძლება მასწავლებელმა გაკვეთილი გააცდინოს და სკოლაში მაინც მიდის.




80 წლის იყო, როცა ერთ-ერთმა პირველმა ჩააბარა მასწავლებელთა საატესტაციო გამოცდები. საატესტაციო კომისიის წევრს რომ დაუნახავს მოხუცი მასწავლებელი, თანაგრძნობის ნიშნად შეუთავაზებია კონსპექტის გამოყენება. მას კუშტად მიუგია: _ ნუ მაყენებ შეურაცხყოფასო.

83 წლის ასაკში ავადმყოფობის გამო დატოვა მშობლიური სკოლა. სიცოცხლის ბოლომდე უანგაროდ ეხმარებოდა და ამეცადინებდა ყველას, ვისაც მისი დახმარება სჭირდებოდა.

ზინაიდა შენგელიას მსგავსი ქალბატონები ლეგენდად გაცხადდებიან მომავალი თაობებისთვის, სიბრძნის მარგალიტებად იბნევიან ნაშეგირდალთა გულებში. ცოდნის ისეთ ანთებულ სანთელს ჰგავანან, უბრალოდ რომ არ იწვიან, არც მხოლოდ ნაღვენთს ტოვებენ; ისინი იმ სინათლეზე ჰყვებიან, წყვდიადის შემანგრეველი ძალა რომ აქვს.

მარინა ქართველიშვილი

# ქინცო მასწავლებელი

ქეთევან ქელიძე

***რევალიები არ სჭირდება აღიარებას. არც მას უცდია, რაიმეს განსაკუთრებით მოპოვება, თუნდაც სიყვარულის, რომლითაც სავსეა მთელი მისი ცხოვრება. თითქმის საუკუნის გადასახედიდან ეამაყება, რასაც ემსახურა, მადლიერია, უკლებლივ რომ მოიმკო, რაც გასცა. სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული ქინცო მასწავლებელი ბევრისთვის დღესაც მაგალითის მიმცემია, საზომი, როგორი უნდა იყოს პედაგოგი. მასზე წერილი დაგვეწერა, ესეც მისი აღზრდილების გამო, წლების შემდეგაც სიყვარულს, მადლიერებას, პატივისცემას რომ გამოხატავენ მისადმი.***

***თავის ყოფილ მოსწავლესა და კოლეგასთან, მარინა სანაძესთან ერთად ვეწვიეთ მას. შეხვედრით გამოწვეულ სიხარულს ვერ ფარავდა უკვე მხცოვანი მასწავლებელი. 97 წლის ვარო, ბრძანა და თავისი მდგომარეობა საკუთარი ლექსის სტროფებით გაგვანდო: "დავბერდი? არა!/ წელთა სიმრავლე იერს შეგიცვლის,/ მაგრამ ის ყველას როდი აბერებს,/ თუ გონებრივად არ დაძაბუნდი,/ წელთა სიმრავლე ვერ დაგაბერებს". სწორედაც ასეთია: გასაოცარი სიზუსტით იხსენებს განვლილ წლებს, ადამიანებს, გამორჩეულ მოსწავლეებს, ფაქტებს, მოვლენებს, საუბრობს ჩვეული სიდინჯით, კმაყოფილია თავისი ცხოვრებითა და არჩევანით.***

ქინცო, იგივე ტატიანა ჭანჭალეიშვილი სამტრედიაში დაიბადა. მოუსვენარ გოგონას ქინცო დამ შეარქვა. მოსწონდა, დიდობაშიც ასე რომ მიმართავდნენ, რადგან თავისი ნამდვილი სახელი არ მოსწონდა. დედა ადრე გარდაეცვალა და უფროსმა დამ, რომელიც გემოკვების სამმართველოში მთავარ ეკონომისტად მუშაობდა, დები თბილისში წაიყვანა. ერთი მათგანი სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა, ხოლო ქინცომ 7 კლასის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის მე-20 საშუალო სკოლაში განაგრძო. მათემატიკას ძალიან კარგად სწავლობდა და სახელმწიფო უნივერსიტეტშიც ამ მიმართულებით აპირებდა სწავლის გაგრძელებას. ბოლოს მაინც ძმის სურვილს დაჰყვა და თეატრმცოდნე რომ გამხდარიყო, გამოცდები ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩააბარა.

"ოთხ დას ერთი ძმა გვყავდა, გიორგი ჭანჭალეიშვილი. ძალიან თეატრალური ადამიანი იყო. მოსკოვში დაამთავრა სარეჟისორო და ცხინვალში მუშაობდა თეატრის დირექტორად. მიუხედავად იმისა, რომ დედისერთა იყო და არც თეატრის მუშაკები მიჰყავდათ ომში, ის მაინც წაიყვანეს. აღარ დაბრუნებულა. ერთხელ, ამბავი მოგვიტანეს, რომ თითქოს ჩემი ძმა საფრანგეთში ფსევდონიმით ცხოვრობდა და ქართულ დასს ხელმძღვანელობდა.

სანახაობა მეც ძალიან მიყვარდა. სამტრედიაში სამუსიკო სკოლაში ვსწავლობდი. ფორტეპიანოზე ვუკრავდი. ჩემი დირექტორი დომენტი შანიძე იყო. ძმის დაკარგვის შემდეგ თეატრმცოდნეობაზე უარი ვთქვი და ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგობა ავირჩიე. _ გვიამბობს ქინცო ჭანჭალეიშვილი.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ითხოვა, სამუშაოდ სამტრედიაში გაენაწილებინათ, მამისეული ფუძე არ უნდოდა წაეშალა. ერთი წელი ოფეთში, მტერჩვეულის სკოლაში იმუშავა. შემდეგ ქალაქის პირველ საშუალო სკოლაში დაასაქმეს. კარგი მუშაობისათვის დააწინაურეს და დავით ჩხეიძესთან ერთად ამ სკოლის დირექტორის მოადგილედ დანიშნეს. როცა მე-3 საშუალო სკოლა აშენდა და პედაგოგების დიდი ნაწილი იქ გადაიყვანეს, გარკვეული დროის შემდეგ ქალბატონი ქინცოს თხოვნა, რიგით მასწავლებლად გაეშვათ მე-3 საშუალო სკოლაში, სადაც მისი კოლექტივის წევრები იმყოფებოდნენ, დააკმაყოფილეს.

47-წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში ერთხელაც არ უთქვამს ბავშვისთვის სიტყვა "გაჩუმდი". თვითონ ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ მის ყოფილ მოსწავლეებს ბევრჯერ უთქვამთ: თქვენი გაკვეთილი ერთი თეატრალური დადგმა იყო და როგორ შეიძლებოდა, არ მოგვესმინაო. ეს კი თავისთავად ხდებოდა და პედაგოგი ყოველთვის გულწრფელი იყო. ცდილობდა, პატრიოტიზმი გაეღვივებინა თავის მოსწავლეებში, სამშობლო ჰყვარებოდათ, პატიოსნები და სამართლიანები აღზრდილიყვნენ. "მაშინ ხალხს ღმერთის არ სწამდა, მე მწამდა. ამას ბავშვებთან ვერ ვიტყოდი, სამაგიეროდ ვაგრძნობინებდი, რომ თუ კარგები არ იქნებოდნენ, ბუნება დასჯიდათ." _ იხსენებს ქინცო მასწავლებელი.

სკოლისა და ბავშვების გარეშე ერთი დღეც კი ვერ წარმოედგინა. სჯერა, რომ მარტო რიდი კი არა, სიყვარულიც ჰქონდათ მისი. ახლა ღიმილით იგონებს: "ავადმყოფობის გამო თითქმის ორი თვე ვერ მივედი სკოლაში. ვინ არ შევიდა ჩემს კლასში, იქამდე ყველაზე ცნობილი და მკაცრი დავით ჩხეიძე. გაკვეთილი რომ ჩაატარა, გამოსულა და უთქვამს, მე აღარ შევალ იმ კლასში. ისე უყვართ ქინცო მასწავლებელი, სხვისი მოსმენა არ უნდათო".

ყოველთვის მაღალ, მე-9, მე-10, მე-11 კლასებს ასწავლიდა ქინცო ჭანჭალეიშვილი. საჭიროებამ მოითხოვა და მხოლოდ ერთხელ შევიდა მე-6 კლასში. ყურადღებით უსმენდნენ პატარები მასწავლებელს, ასე საინტერესოდ რომ ესაუბრებოდა. მათ შორის იყო ეკა ხვედელიძეც. დღემდე არ მივიწყებს. პატივს მცემსო, მადლიერებას გამოხატავს ქალბატონი ქინცო მისადმი. გვიამბობს: "საშუალო სკოლას რომ ამთავრებდნენ, ეკას და კიდევ ერთ კარგ გოგოს, ნანი კოხრეიძეს, თემები მოჰქონდათ ჩემთან სახლში და მასწორებინებდნენ. ეკა თვითონ იყო დასამახსოვრებელი. ჩემი კათედრის ირგვლივ უყვარდათ მასაც და სხვებსაც თავის მოყრა. გაკვეთილის შემდეგ საუბარს იქ ვაგრძელებდით. დასვენება ჩემთვის არ არსებობდა. მეორედ რომ დაირეკებოდა ზარი, მაშინ შევიდოდი სამასწავლებლოში ჟურნალის ასაღებად და სხვა კლასში შესასვლელად".

მოსწავლეს ვერ იხსენებს ღვაწლმოსილი პედაგოგი, რომ ვერ დაემორჩილებინოს. თუმცა ამისთვის განსაკუთრებულს არაფერს აკეთებდა. უბრალოდ, ისე იქცეოდა, როგორც სწამდა: "პედაგოგი უნდა იყოს თავდაჭერილი. ზედმეტად სიმკაცრე არ უნდა გამოიჩინოს. შენ არ ვარგიხარ, უზრდელი ხარ, გამლანძღველი სიტყვა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იხმაროს, მოსწავლე არ უნდა დაამციროს".

გაბრაზებულიც არავის უნახავს. დავით გახოკიძის შვილის, ბატონი ლევანის ნათქვამი გაიხსენა: ქინცო მასწავლებელს რომ დავინახავდი, კედელს ვეკვროდი, მამაჩემი, დავით გახოკიძე ცეცხლს ყრიდა სკოლაში და იმის არ მეშინოდაო.

ნიმუშად მოჰყავდათ, რომ ის არც ერთ ბავშვს შეურაცხყოფას არ აყენებდა. ისეთი მოსწავლეებიც ჰყოლია, არაფერი რომ არ აინტერესებდათ. მათ მიმართ თავისი მეთოდი ჰქონდა გამოცდილ პედაგოგს. "გაკვეთილზე საერთოდაც რომ არ ეთქვათ რამე, მოულოდნელად შევეკითხებოდი: _შენ რა თქვი? გაოცდებოდა. _ შენ ხომ თქვი ეს ასე? _ დამეთანხმებოდა და ჩემს ნათქვამს გავამეორებინებდი. შევაქებდი, იმათ მე ორიანს არ დავუწერდი. ჩემს მეხსიერებაში მხოლოდ ორი შემთხვევა დამრჩა, როცა ორიანი დავწერე. ბავშვებს გული მაინც არ სტკენიათ, დღესაც სიყვარულით მხვდებიან. საშემოდგომო გამოცდაზე თავზე დავადექი და ღირსეული ნიშანი მივაღებინე." _ აღნიშნა მან.

მისი აზრით, ყველა ბავშვში არსებობს პოტენციალი, რომელსაც მიგნება და ხელის შეწყობა სჭირდება. ამიტომ არასდროს უწერდა სპორტში ჩაბმულ მოსწავლეებს ცუდ ნიშანს. ხელს როგორ შევუშლიდიო და დღეს უკვე საქვეყნოდ ცნობილ ვანო იანტბელიძეს ყველაზე მაღალი ნიშანი, 5-იანი დაუწერა სკოლის დამთავრებისას, იქნებ თეატრალურ ინსტიტუტში გამოცდებზე უშველოსო. კმაყოფილია, რომ "მართლაც, უშველა. იმ წელს ჩაირიცხა, ნიჭიერი მსახიობი დადგა".

როგორც განმარტავს, უკიდურესობაში თავი არასდროს ჩაუგდია და ვინმეს ხათრით ნიშანი არასდროს არავისთვის დაუწერია. სხვებს ვერ ვუწერ კარგ ნიშანსო და არც საკუთარ შვილს დაუწერა. სკოლის დირექტორს, რომელიც საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეც იყო, უსაყვედურებია, ეს როგორ გააკეთე, ასეთ ბავშვს ნიშანი როგორ დააკელიო. ალბათ, ასეთი ხასიათის გამოც იმსახურებდა თავისი მოსწავლეების პატივისცემასა და სიყვარულს მასწავლებელი.

"კეთილშობილი ადამიანია, შრომისმოყვარე, ისეთი საინტერესო იყო მისი გაკვეთილები, სურვილი არ გიჩნდებოდა, გეხმაურა. კარგი მეტყველება ჰქონდა, ყველა უსმენდა. თვითონ წყნარი და ძალიან მშვიდი იყო. მეზობელიც ვარ და სახლშიც დავდიოდი, რომ დამხმარებოდა, დაუზარელია, ნამდვილად კარგი ქალბატონია." _ გვიხასიათებს ქინცო ჭანჭალეიშვილს ნათია გოგუაძე.





ტატიანა (ქინცო) ჭანჭალეიშვილი

გენო გეგეშიძე, თამაზ ჩომახიძე, ვაჟა ტერელაძე, ჯემალ პაპავა _ ყველანი ქალბატონი ქინცოს მოსწავლეები იყვნენ.

"ბრწყინვალე ადამიანი და შესანიშნავი პედაგოგი" _ ასე გვიხასიათებს მასწავლებელს ბატონი ჯემალ პაპავა.

"ერთხელ წავიქეცი და ტვინის შერყევა დამემართა. ვაჟამ ჯემალს დაურეკა, ქინცო მასწავლებელი ავადაა და აბა, შენ იცი, საავადმყოფო ფეხზე დააყენეო. მართლაც, ისე მივლიდნენ!.." _ სასიამოვნო მოგონებად შემორჩა მას ყოფილი მოსწავლეების მზრუნველობა.

ქინცო ჭანჭალეიშვილის გავლენით ბევრმა მისმა მოსწავლემ აირჩია პედაგოგის პროფესია. თუ მასწავლებელი ვიქნები, ქინცო მასწავლებელს დავემსგავსებიო, _ ამბობდა მისი საყვარელი მოსწავლე რუსუდან ცხვარაძე. ეამაყება ქალბატონ ქინცოს, რომ დღეს ქალბატონი რუსუდანი თბილისის ერთ-ერთი სკოლის წარმატებული დირექტორია. სიყვარულით იხსენებს ნინო და მარინა მინაშვილებს. დასძენს, ნინომ ოქროს მედლით დაამთავრა საშუალო სკოლა, მერე სამედიცინო ინსტიტუტი და ახლა ცნობილი ნევროპათოლოგიაო. მერაბ ღაღანიძე, მერაბ ჩხეიძე, შოთა ქაჯაია და კიდევ ბევრ მისთვის საყვარელ მოსწავლეს ასახელებს ამაგდარი პედაგოგი.

თბილ სიტყვებს არ იშურებს მარინა სანაძისა და დარეჯან კინწურაშვილის მიმართ, გამორჩეულები იყვნენო. მარინა სანაძე მისი კოლეგა რომ გახდა, მოინდომა, სკოლაში თავისი შვილიშვილი მისთვის მიებარებინა. ქინცო მასწავლებლის გაკვეთილები ზეიმი იყოო, _ აღნიშნავს თავის მხრივ ქალბატონი მარინაც.

დარეჯან კინწურაშვილმაც გაუმართლა, ფილოლოგი გახდა და ახლა მეორე საჯარო სკოლაში დირექტორის მოადგილეა. იქვე კიდევ მისი ერთი საყვარელი მოსწავლე, ნატო ჯამბურია ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

"ეტალონი მასწავლებელია ქალბატონი ქინცო", _ გვიზიარებს აზრს დარეჯან კინწურაშვილი, _ "36 წელია, სკოლაში ვმუშაობ და მსგავსი ადამიანი და პროფესიონალი არ შემხვედრია. დინჯი, გაწონასწორებული. არ მახსოვს, ხმამაღლა ეთქვას მოსწავლისათვის სიტყვა. ღმერთმა გვიცოცხლოს მისი თავი". მერე ის მინაწერიც წაგვიკითხა, სკოლის დამთავრებისას ალბომზე რომ გაუკეთა მასწავლებელმა: "რას ვისურვებ შენთვის? ყოველივე კარგს ვისურვებდი. სულ წარმატებით გევლოს ცხოვრებაში. მუდამ გიცინოდეს სახე და ეს ღიმილი ყოფილიყოს კმაყოფილების გამომხატველი.



ყოფილ მოსწავლეებთან შეხვედრა

გაიხარე, ჩემო გოგო! გაახარე დედის გული და ყველა აღმზრდელის, მათ შორის, ჩემიც. მე შენში ვხედავ ჩემი გზის გამგრძელებელს, კარგ შემცვლელ თაობას. გამიმართლე იმედები, ისწავლე კარგად! შენი ქინცო მასწავლებელი".

წლების შემდეგაც არ ივიწყებენ მათთვის ძვირფას პედაგოგსა და ადამიანს ყოფილი მოსწავლეები. თავიანთი ყურადღებით მხნეობას მატებენ, სიცოცხლეს უხანგრძლივებენ, მათ შორისაა თემურ ჯულაყიძე. _ ხშირად მაკითხავსო, დასძენს ქალბატონი ქინცო.

"პატივს კი არ მცემდნენ, მგონი ვუყვარდი ჩემს კოლეგებს", _ გვითხრა მან. მისთვის დაუვიწყარია ის კოლეგიალური ურთიერთობა, რომელიც მაშინ არსებობდა. ყოფილი დირექტორები ვალერიანე ნინუა და ლეონინა ჯიქიძეც გაიხსენა. ასევე მისთვის მაგალითად ქცეული პედაგოგი და შემდგომში მისი კოლეგა ტუშა სტურუა. თბილისში სწავლის პერიოდიდან მარიამ ჭრელაშვილი, თავისი პირველი კლასის მასწავლებელი ელენა "გიორგიევნა".

ღიმილით გაიხსენა, ვანში სტუმრად წასულ ე. წ. მოწინავე მასწავლებლებს როგორ მოუხდათ, თავიანთ კოლეგა ჟენია ქართველიშვილთან დარჩენა. მეორე დილით გაკვეთილების დაწყებას რომ ვერ ჩამოუსწრეს, მკაცრი დირექტორი იღლიაში ამოჩრილი 8 ჟურნალით სკოლის ჭიშკარში დახვდათ: ეს რა გამიკეთეთ, 8 გაკვეთილი როგორ გამიცდინეთო. ხაზი გაუსვა, ამდენი გაკვეთილის გაცდენის მიუხედავად, ხმაურს ვერ გაიგონებდით სკოლაშიო.


ქალბატონი ტატიანა (მარცხნიდან მეორე) კოლეგებთან

პენსიაში გასვლის შემდეგ ერთი წელი ისევ იმუშავა ქინცო ჭანჭალეიშვილმა სკოლაში. მერე გამოძახებებს უკეთებდნენ, გაკვეთილები რომ ჩაეტარებინა. ერთხანს მე-3 კლასსაც ასწავლიდა ბუნებისმცოდნეობას, თითქმის ლიტერატურულ გაკვეთილებად აქცია იგი.

მე-3 საშუალო სკოლის 50 წლის იუბილეზე შესაძლებლობა მიეცა, კიდევ ერთხელ შეევლო თვალი საყვარელი გარემოსთვის. სიტყვითაც მიემართა მოზეიმეთათვის.

მადლიერების გრძნობით დაჯილდოებულ ადამიანს არ ავიწყდება, როგორ პატივს სცემდნენ რაიონში. წარჩინებული მასწავლებლის შესახებ გაზეთის ფურცლებზეც ხშირად წერდნენ. ამაგდარ პედაგოგს არც ახლანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები ტოვებენ უყურადღებოდ, სახლში ეწვივნენ და საჩუქრებიც მიართვეს.

გვარწმუნებს, თუ როგორი სიამაყეა, როცა მოსწავლისგან სიყვარულს გრძნობ. "იური გვაზავა ჩემი მოსწავლე იყო. მეზობლად ცხოვრობდა და ჩემს ჭიშკართან ჩავლისას ხმამაღლა მღეროდა: "ქინცო მასწავლებელო, გულის გამხარებელოო". ვეტყოდი, სირცხვილია, ნუ მღერი, როდის იყო მასწავლებელი გულის გამხარებელი-მეთქი. რა, არ არის მართალი?! _ მიპასუხებდა.

თავს ევლებიან ქალბატონ ქინცოს ოჯახის წევრები. შვილი დავით ცინცაძე, შვილიშვილები, გიორგი და დათო და რვა შვილთაშვილი აძლიერებენ ქალბატონ ქინცოს. ბედნიერი ქალი ვარო, ამბობს და თითებზე ითვლის შვილთაშვილების სახელებს: გიორგი, ბექა, ცოტნე, ლაშა, ლიზი, საბა, მარიამი და ბარბარე. დიდი სახლის დიდი ქალბატონი ქებას არ იშურებს რძლის, მაყვალა ლორიასადმი, ბრწყინვალე ადამიანიაო. კეთილი სიტყვები ემეტება დედამთილის მიმართ ქალბატონ მაყვალასაც: "ძალიან ტაქტიანი ადამიანია, ჩემთვის გული არასდროს უტკენია. ყოველთვის მარიგებდა: ადამიანებში კარგი ეძებე და ცუდი რომ მოხდება, დაგავიწყდებაო. ცუდს არასდროს იმახსოვრებდა. ასეთ დროს მეტი სიყვარულია ოჯახში, არ არსებობს ბოღმა და შურისძიების განცდა". ჯანსაღი დამოკიდებულება ესტაფეტად გადაეცა ოჯახის წევრებს. უმცროსი რძლები, ნათია მელქაძე და ეკა მამარდაშვილიც უფროთხილდებიან ქალბატონ ქინცოს.

დღემდე დარდი არ განელებია მეუღლის, გიორგი ცინცაძის, გარდაცვალების გამო. დაუვიწყარია მისთვის, თუ როგორ შეხვდნენ პირველად მტერჩვეულის სკოლაში ერთმანეთს ის და ომიდან ახალდაბრუნებული ბატონი გიორგი. გაუმხელელი სიყვარულით დიდხანს როგორ უყვარდათ ერთმანეთი და როგორ შექმნეს ოჯახი.

ყოველთვის ბევრს კითხულობდა, თუმცა ახლა დრო ტელევიზორის ყურებითა და შვილთაშვილებთან თამაშით გაჰყავს. ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს სისტემატურად ადევნებს თვალს და ხშირად ემოციებსაც ვერ ფარავს. განათლების სიტემაში რაც ხდება, არც ეს მოსწონს გამოცდილ პედაგოგს. სწორად არ მიაჩნია, მოსწავლეს 18 წელი სკოლაში რომ უსრულდება, ბავშვური ასაკი უმაღლეს სასწავლებელშიც უნდა გაჰყვესო. გაიხარა "დედაენა" რომ დაბრუნდა სკოლაში.

ჩვეულებას არ უღალატა და წამოსვლისას თვითონვე გამოგვაცილა. ისლა დაგვრჩენია, დღეგრძელობა ვუსურვოთ ქალბატონ ქინცო მასწავლებელს. წერილს კი მისივე ლექსით დავასრულებთ.

"ისე გავლიე ცხოვრების წლები,
არ მიფიქრია, დავბერდი-მეთქი,
ახალგაზრდების წინაშე მდგომელს
მავიწყდებოდა, როგორ ვბერდები."

# სამტრედია-მიტოიოს მეგობრობა

სამტრედიისა და ქალაქ მიტოიოს მეგობრობას საფუძველი ეყრება. ეს ინიციატივა ეკუთვნის იაპონიაში ქართველი ვიოლონჩელისტის, გია ხეოშვილის ხსოვნის პატივსაცემად შექმნილ ასოციაცია "მეგობრის" წევრებს და მუსიკოსის შვილს, გურამ ხეოშვილს.

6 აგვისტოს ასოციაცია "მეგობრის" წევრები და მუსიკოსის ვაჟი სამტრედიას ეწვივნენ. მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში სტუმრები ვალერიანე ფოცხვერიასა და სამტრედიის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრამ საფუძველი ჩაუყარა იაპონურ და ქართულ მხარეებთან მეგობრულ კომუნიკაციას. სექტემბრის ბოლოს სამტრედიას იაპონური დელეგაცია ეწვევა, რომლის მიზანია სამტრედიისა და მიტოიოს დაახლოება, ქართული და იაპონური კულტურის შერწყმა და სტუმრების ქართულ კულტურასთან ზიარება ხალხთა შორის ურთიერთობების გაღრმავებას შეუწყობს ხელს.

ნინო ნანიტაშვილი





# "დაუვარცხნელი აზრების" ავტორის დავარცხნილი აზრები

პირველი ლექსი 1929 წელს დაბეჭდა, პირველი "დაუვარცხნელი აზრები" _ ორმოცდაათიანი წლების შუა ხანებში.

და მაინც, ვინ იყო სტანისლავ ეჟი ლეცი?

იგი 1909 წელს დაიბადა. ლვოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თანამშრომლობდა სხვადასხვა ჟურნალებთან. 1941 წელს საკონცენტრაციო ბანაკში მოხვდა, საიდანაც გაქცევა მოახერხა. შემდეგ იყო დიპლომატიურ სამსახურში. განსაკუთრებული პოპულარობა ხვდა წილად პოეტის აფორიზმების, სენტენციებისა და ეპიგრამების ციკლს: "დაუვარცხნელი აზრები" და "ახალი დაუვარცხნელი აზრები".



57 წლის ასაკში, 1966 წელს გარდაიცვალა ლეცი, მისი ნააზრევი კი მარად უკვდავია. რამდენიმე მათგანს ვთავაზობთ მკითხველს:

...

ძალდატანების საკრავით "თავისუფლების სიმღერას" ვერ შეასრულებ.

...

ძროხას კაკაოც რომ აჭამო, შოკოლადს მაინც არ მოიწველება.

...

ჯოჯოხეთში ეშმაკი დადებითი სახეა.

...

ხელოვნების ძალაა: გმირად შეიძლება, რომ ლაჩარი ჰყავდეს.

...

ზოგიერთების მოწოდება: _ "ნუ დავხოცავთ ერთმანეთსო" ხან მცდარად ესმით, ისინი მკვლელობის განსაკუთრებულ უფლებას მოითხოვენ. მხოლოდ თავიანთვის.

...

"მე ხვალინდელი დღის პოეტი ვარ", _ თქვა იმან, "მაგის თაობაზე ზეგ ვილაპარაკოთ", _ ვუპასუხე მე.

...

ზოგიერთმა ეროვნულმა ტრაგედიამ ანტრაქტი არ იცის.

...

თემიდა ბრმაა, თავის მსახურთაც ვერ ხედავს.

...

ჰუმანიზმი კაცთა მოდგმის სიკვდილს მოესწრება.

...

ოპტიმიზმით ვარ სავსე: კაცობრიობამ მორალის კანონები დასძლია, ვითომ რატომ ვერ დასძლევს ფიზიკის კანონებს?

...

რამდენი უკანასკნელი სიტყვა იბრძვის პირველობისთვის!

...

თუ ხელისუფლების სათავეში ქამელეონია, დაახლოებული პირნი წამდაუწუმ ფერს იცვლიან.

110 წელი სრულდება ამ დღეებში გენიალური პოეტისა და მოაზროვნის დაბადებიდან.

ლევან გაბეჩავა

ეროვნული მოძრაობის ისტორია სამტრედიაში

# "ქალმა სისხლიდან ავტომატის ტყვიები ამოკრიფა, გაუსროლელიაო და ჯიბეში ჩაიდო"

ნათია ნაცვლიშვილი



***აზა ძიძიგური პროფესიით ეკონომისტია, მუშაობდა სამტრედიის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოში. ჩვენი რესპონდენტი ეროვნული მოძრაობის წლებს და ეროვნული ხელისუფლების დამხობას იხსენებს. მისი ნაამბობი დაგვეხმარება სამტრედიის იმდროინდელი ქრონიკების აღწერაში, ქალაქისა, რომელმაც, სამეგრელოს შემდეგ, ყველაზე მძიმედ იწვნია სამოქალაქო დაპირისპირების და ძმათამკვლელი ომის ტკივილი და სისასტიკე.***

_ ეროვნული მოძრაობის დროს არაფორმალებს გვეძახდნენ, სამტრედიის რკინიგზის აქცია რომ გაიმართა, სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოში ეკონომისტად ვმუშაობდი, იმხანად ხონის და ვანის ტრანსპორტიც ჩვენს შემადგენლობაში შემოდიოდა. აქციებში პირადად მე მონაწილეობა არ მიმიღია. იქ ღამეებს არ ვათენებდი, მაგრამ მორალურად ვგულშემატკივრობდი აქციის მონაწილეებს. ზვიად და კობა ძიძიგურების ოჯახს ადრეული პერიოდიდან ვიცნობ, ისინი თავიდან მარანში ცხოვრობდნენ, ჩემს მეზობლად. აქ, სამტრედიაში გვიწევდა ადგილობრივ ხელისუფლებასთან დაპირისპირება იმ ადამიანებს, ვინც ეროვნულ მოძრაობას თანავუგრძნობდით. ზოგიერთი ვერ იგებდა, რატომ შიმშილობდნენ ახალგაზრდები. 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია რომ მოხდა, ბოიკოტი გამოუცხადა "მრგვალმა მაგიდამ" კომუნისტურ არჩევნებს, დაინიშნა ახალი არჩევნები და დამარცხდნენ კომუნისტები. იმხანად აქტიური გულშემატკივარი გახლდით, ჩემი უფრო მეტად გააქტიურება გამოიწვია გამსახურდიას ხელისუფლების მარცხმა.

**_ აღმოჩნდით თუ არა უშუალოდ თქვენ ხელისუფლების და "მხედრიონის" დევნის ობიექტი?**

_ მახსენდება პრეფექტურაში რომ ცეცხლი გააჩინეს, ვერ დაგიკონკრეტებთ, ვინ გააჩინა, ალბათ, "მხედრიონიდან" წამოვიდა ეს იდეა. ერთს მინდა გავუსვა ხაზი: პრეფექტურა მესამე სართულზე იყო, იწვოდა შენობა, ზვიად ძიძიგურის კაბინეტიდან გადმოყარეს ხატები, იქ ჩვენი მხარდამჭერებიც შეცვივდნენ. პრეფექტი, ზვიად ძიძიგური ამ დროს დედაქალაქში უზენაესი საბჭოს სესიაზე იმყოფებოდა, ქვემოდან ვყვიროდით, არავინ დაღუპულიყო, მახსოვს, ფანჯრიდან გადმოყარეს ხატები და არც ერთი მათგანი არ დაზიანებულა. მერე, მარცხი რომ განიცადა ჩვენმა ხელისუფლებამ, დევნილობაში ზვიად გამსახურდიას თან გაჰყვა ზვიად ძიძიგური, სომხეთში დასცილდა ზვიადი მას, ჩეჩნეთში არ გაჰყოლია. ამ დევნილობის დროს ხშირად მოდიოდნენ ძიძიგურების ოჯახში "მხედრიონი" და პოლიცია, მე ახლოს ვმეგობრობდი ქალბატონებთან, ნაზისთან და მარინასთან. არაერთხელ შევსწრებივარ ასეთ "სტუმრობებს". ქალბატონ ნაზის სახლიდან გასვლა უჭირდა, ხალხს უშლიდნენ ამ ოჯახთან სიახლოვეს, პოლიცია მაინცდამაინც აგრესიულად არ იქცეოდა, სისასტიკით "მხედრიონი" გამოირჩეოდა. მარტო დარჩენილ ქალბატონ ნაზისთან ღამეს ხშირად ვათევდი, ერთ დღესაც გარეთ ვიყავი გასული, უცბად ნაზის დაძახების ხმა გავიგონე: _ აზა, გადი აქედანო! უკანა ეზოს კარიდან უნდა გავპარულიყავი. ახალგაზრდა ხარ და არ მინდა ამ უსინდისოებმა გნახონო. ეს რომ დამიძახა, ბევრი შემოცვივდა, ერთმა მომადო ავტომატი და სახლში შემომიყვანა, კედელთან ავტომატი მომიღერა და მითხრა: არ გაინძრეო, მოშორებით იდო ტელეფონი, მეორემ მიყვირა, არ გაინძრე, ქალო, ადგილიდანო და ტელეფონს ყურმილი მოაგლიჯა. სახლში შემოცვენილებმა ქალბატონ ნაზის უთხრეს, წუხელ შენი ზვიადი მოვკალით, ახლა მორგში უნდა წაგიყვანოთ და განახოთო. მოთქვამდნენ კიდეც, რომ ეს ადამიანი მორალურად გაენადგურებინათ. ნაზიმ უპასუხა: თუ მოკალით, აქ რატომ მოხვედით, ვის ან რას ეძებთო? მთელი სახლი გაჩხრიკეს, ზვიადის ნაცვამი ბოტასები წაიღეს, უჯრაში მარინას ოქროს ბეჭედი დარჩენოდა, ისიც ხელს გააყოლეს, 4 ცალი შედედებული რძე გამოიტანეს საკუჭნაოდან. _ ზვიადისტებმა მთელი სახელმწიფო ქონება დაიტაცეს და სახლში მარაგი გაიკეთესო, ყვიროდნენ. რა თქმა უნდა, იარაღს ვერ ნახავდნენ, მერე ეძებდნენ მანქანას. ძიძიგურების ეზოში იდგა სოხუმიდან დევნილი ბიძის, დედის ძმის მანქანა, რომელიც აფხაზეთის ტრაგედიას ძლივს გამოარიდა ქალბატონი ნაზის ძმამ. მკითხეს, ეს მანქანა ვისიაო? ვუპასუხე ვისიც იყო. ისინი 24-ის მარკის ავტომანქანას ეძებდნენ, ეს კი ჟიგული იყო. ვუთხარი, რომ არაფერი ვიცოდი. რამდენჯერმე ანიშნეს რაღაც ერთმანეთს, აივანზე სროლა ატეხეს და წავიდნენ, მერე ერთხელ კიდევ შემოვიდნენ, კვლავ ეძებდნენ კობას, ზვიადს და იარაღს.

**_ ძიძიგურების დედა, ნაზი ბზიავა პროფესიით პედაგოგი იყო, გამოირჩეოდა პროფესიონალიზმით, სამართლიანობითა და ღირსებით. მას არაერთხელ გამოუვლენია ჭირთთმენის, განსაცდელის ღირსეულად ატანის უნარი...**

_ დიახ, ამავე დროს, ძალიან გონიერი, გამჭრიახი და წინდახედული ქალბატონი იყო. როგორც კი უთხრეს, სახლი უნდა გავჩხრიკოთო, მან უპასუხა: ქალებს იარაღი არ გვჭირდება, ჩემი სახლიდან თუ რაიმეს ამოიღებთ, ეს თქვენი ჩადებული იქნებაო. მკითხეს, ვინ ვიყავი, ძალიან კარგი, სახლის ჩხრეკას ვატარებთ და აქტზე ხელი მოგვიწეროთო, მითხრეს. ყველა ოთახში ავტომატით კარს აღებდნენ, ჯერ მე შემიშვებდნენ და მერე თვითონ შედიოდნენ, "ქალბატონოს" გარეშე ენა არ მოუბრუნებიათ არც ჩემთვის და არც ნაზისთვის და ამასთანავე, შენი დედაო, "ქალბატონოს" თანხლებით გვაგინებდნენ. ასე შემოვიარეთ სახლის ყველა ოთახი, მეორე სართულზე გვითხრეს, წინ შენ წადი, ქალო, ვინმე არ იყოს და არ გვესროლოსო. წინ შემოსასვლელში პირველ სართულზე ედგათ ტახტი, ალბათ, ჩვენს მისვლამდე იქაურობა "მოამზადეს," ახადეს ამ ტახტს თავი, ამოიღეს ავტომატი და გვითხრეს: _ რაა ეს, აკი თქვი, არაფერი გვაქვსო? ნაზიმ და მე ვუთხარით, რომ ეს მათივე ჩადებული იყო. მაიძულებდნენ, ხელი მომეწერა აქტზე, რომ იარაღი ამოიღეს, ვერ დამითანხმეს, ხელი ვერაფრით მომაწერინეს. ავტომატი დაგვიმიზნეს, მაინც ვერ დაგვითანხმეს... სამტრედიაში "მხედრიონელები" ქუთაისის გზით რომ შემოვიდნენ, ნაზის ეშინოდა და სახლიდან ვერ გამოდიოდა, ლიმონათის ქარხანასთან ვიდექი და ვხედავდი, ერთ-ერთ ტანკს ეწერა: "სიკვდილი ზვიად ძიძიგურს!" ზვიადი ამ დროს, საბედნიეროდ, სამტრედიიდან გაიქცა, ამ ბრბოს გაასწრო. ავრცელებდნენ ჭორებს, სპეციალურად მეუბნებოდნენ, ოჯახში რომ მიმეტანა, მაგრამ ამ გამწარებულ ქალს როგორ ვეტყოდი?! მითხრეს, რომ გზაგამტარ ხიდზე ქუთაისიდან მომავალი კობა ძიძიგური ჩაცხრილეს და მკვდარი აგდიაო. ეს იყო, რა თქმა უნდა, მძიმე მოსასმენი, ხმა არ ამომიღია, წავედი იმ ხიდთან, კობას მოსაძებნად, ჩემთან ერთად რამდენიმე ქალბატონიც იყო, ძირითადად მეზობლები. ძალიან მწარედ მახსოვს, რომ მივედით ამ მანქანაში 4 ისეთი ლამაზი ვაჟკაცი იყო ჩაცხრილული, თურმე ვიღაცას უთქვამს, კობა მოდის თეთრი ჟიგულით ქუთაისიდანო და "მხედრიონელებმა" თეთრ ჟიგული რომ დაინახეს, ავტომატით ჩაცხრილეს თავისიანები, "მხედრიონელები". მთელი ხიდი სისხლით იყო გადაღებილი, ერთ-ერთი სამტრედიელი ქალი, მას შეგნებულად არ დავასახელებ, დაიხარა და იმ სისხლიდან ავტომატის ტყვიები ამოკრიფა, გაუსროლელიაო და ჯიბეში ჩაიწყო. მე ამოვისუნთქე, რომ კობა არ იყო, მაგრამ იმ უზადო ვაჟკაცების სახე დღესაც თვალებიდან არ მცილდება, ეს იყო საშინელი სანახაობა. ერთხელ ამბავი მოიტანეს, მარანში კობას ტანკიდან ესროლეს და მოკლესო. ასეთი ბევრი ჭორი გავრცელდა, შეტაკება მომხდარა სენაკში, ამბავი მოიტანეს სპეციალურად. იმ ზვიადისტების დედები თავიანთი შვილების ამბის გასაგებად ნაზი დეიდასთან, ძიძიგურების ოჯახში იყრიდნენ თავს. ერთ-ერთი მშობელი, გოგიტა ალფაიძის დედა მოვიდა, ვიღაცამ ამბავი მოიტანა: შეტაკების დროს ყველა სამტრედიელი ბიჭი დაღუპულაო. 30 გამწარებული დედა შეიყარა, ამ ტირილის დროს ქალბატონი ნორა (გვარი არ მახსოვს) მოვიდა და თქვა: ჩემი ქმარი გადასული იყო ხონიდან, ქალებო, ამ ჭორს ავრცელებენ, ჩვენი შვილები ცოცხლები არიანო. ყველას იმედი ჩაესახა. რადგან მე, ახალგაზრდა გოგო კუთხეში ვიჯექი, ამ ქალმა მომიხედა, მაკოცა და მითხრა: ნუ გეშინია შვილო, შენი ქმარიც კარგადააო, არადა მე დაოჯახებული არ ვიყავი. მერე ის ქალები ისევ ჩავარდნენ დეპრესიაში, ჩვენი შვილებიც მაგის ქმარივით ხომ არ გინახავსო?

**_ სამსახურში ხომ არ შეგექმნათ პრობლემა?**

_ ღმერთმა აცხონოს ჩემი ყოფილი დირექტორი, თემურ გეგეშიძე, რომელიც ძალიან გაწონასწორებული კაცი ბრძანდებოდა, მან ყველაფერი იცოდა, მაგრამ არასოდეს შენიშვნა არ მოუცია. ისეთი დრო იყო, წადი და იარეო, ვერ მეტყოდა, მაგრამ არასოდეს აუკრძალავს ჩემთვის ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან ურთიერთობა, დაგვიანებაზეც არ უსაყვედურია. მარნიდან ფეხით დავდიოდი სამსახურში, მანქანას ვერავინ გამოაჩენდა, მაშინ სეზონი იყო ცხენის და კაჭკის, კაჭკაზე სიხარულით შევხტებოდი, სამტრედიამდე რომ ჩამოვეყვანე. სამტრედიიდან მარნამდე მარტო სამტრედიის მაშინდელი თავკაცი ნოდარ ძნელაძე დადიოდა თავისი სამსახურებრივი მანქანით, მას სოფელი ჰქონდა მარანში. მახსოვს, ერთხელ სამტრედიიდან მივდივარ ამ უტრანსპორტობის დროს, ძველ ავტოსადგურთან მივედი, ნაზი დეიდამ მირჩია, არ წავსულიყავი, დავინახე, დგას ტრაქტორი და აწერია "სამტრედია- აბაშა," დიდ პრიცეპზე ხალხი დგას, გამიხარდა, ახლოს რომ მივედი, ეწერა "მარანში არ გაჩერდება". გუნება მომეშხამა. მარანში ხიდი იყო დანაღმული, სამტრედიის მხრიდან "მხედრიონი", მარნის მხრიდან კი ზვიადისტები იდგნენ. ყოველდღე სამსახურში ფეხით მოვდიოდი, ეს დანაღმული ხიდი უნდა გადამევლო, ყველაფერს შეგვაჩვიეს, მითხრეს, პატარა კოლოფებს არ შეეხებოდით, ამასთანავე, პასპორტები უნდა გვეჩვენებინა მათთვის. ერთხელ მარნის ხიდზე "მხედრიონმა" დამაკავა. პასპორტი რომ მომთხოვეს, ვაჩვენე, გვარი რომ წაიკითხეს, ათი-თორმეტმა კაცმა არანორმალურად იყვირა, შეაყენეს ავტომატები, წრე შეკრეს, ზვიადის და ვეგონე. ერთი ამ მხერდიონელთაგანი ჩვენი სოფლიდან იყო, ბავშვობიდან ერთად ვიზრდებოდით, მერე თბილისში წავიდა საცხოვრებლად და მე და მარინა ერთმანეთისგან ვერ გაგვარჩია. ვუთხარი, რომ არ ვიყავი ზვიადის და. მთხოვდნენ, სახელმწიფო ავტოინსპექციის ძველ შენობაში შემოდიო, ვერ დამითანხმეს. რადგანაც ხალხი მოძრაობდა ამ ხიდზე, ხმამაღლა მოვრთე ყვირილი, ძიძიგური რომ ვარ, ამის გამო არ ვიაროთ მთელმა ძიძიგურებმა-თქო? ვიმედოვნებდი, იქნებ ვინმეს ამბავი წაეღო სოფელში. მოულოდნელად ამ "მხედრიონელებს" გამოეყო სრულიად უცხო, მომკიდა ხელი, დაწყნარდი ქალბატონოო, გადმომაცილა ხიდზე და გადმომიშვა.

მინდა გავიხსენო ასევე, სხვა ეპიზოდი: ხალხმრავლობაში რამდენიმე მეტრის დაშორებით ნაჩხატაურის ხიდთან ვიყავი. ნაჩხატაურთან გოგო მოკლესო, ყვიროდნენ ჩემს უკან, მართლაც, 17-18 წლის გოგო ჩვილი ბავშვით ხელში ბრმა ტყვიის მსხვერპლი გახდა, დავარდა საცოდავი, ბავშვი გადარჩა, დავინახე ეს საშინელი სცენა, არავითარი სროლა და დაპირისპირება არ ყოფილა, სროლის დროს ხიდზე არ გვიშვებდნენ. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს გოგო იყო მარნელი ოლეგ თელიას ქალიშვილი, იმ უპატრონობის და განუკითხაობის პერიოდში მისი ოჯახისთვის პასუხი არავის გაუცია. ჩვენს სოფელში ამ სამოქალაქო ომის დროს ხალხს სახლები დაეწვათ ტყვიამფრქვევების სროლის გამო, მერე სადაც ჩავარდებოდა ეზოში, იქ ორმოები რჩებოდა. ჩემი მეზობლები პირველ მაისში, ბიძაშვილები რობერტ და ჯანიკო ჩიტიები და ბორია გოგიშვილი საკუთარ სახლში ნასროლმა ჭურვებმა დახოცეს, ასევე მამა-შვილი სურგულაძეები. ასე სასტიკად და ულმობლად იღუპებოდნენ უდანაშაულო ადამიანები, სამი დღის განმავლობაში ზემოდან თვითმფრინავები გვბომბავდა. ღვთის წყალობით გადავრჩით. მდინარე ცხენისწყლის სანაპიროზე იყვნენ ზვიადის მომხრე მებრძოლები განლაგებულნი, მე ამ მდინარის პირას ვცხოვრობ, შემოდიოდნენ სოფელში, გვთხოვდნენ ტელევიზორის ყურებას, დედაჩემი საჭმელს აძლევდა, პურზე უარს ამბობდნენ, აქეთ გვთავაზობდნენ, საჭმელს კი ვაძლევდით მთელი სოფელი, იქითაც წაგვიღია მათთვის საჭმელი.

**_ ავიწროებდნენ ეს ადამიანები მშვიდობიან მოსახლეობას?**

_ მაგათგან არანაირ ქურდობას ადგილი არ ჰქონია. ესენი რომ ამბობდნენ, სოფელი პატივს გვცემსო, "მხედრიონელებმა" ეს გაიგეს, არ ესიამოვნათ, დაემუქრნენ თურმე, რიონზე გადმოვალთ და მარანში ხალხს გავწყვიტავთო.

**_ სიმშვიდე როდისღა გეღირსათ?**

_ ოდნავ სიმშვიდე გვეღირსა მას შემდეგ, რაც ბიჭები დააპატიმრეს, ვგულისხმობ იმას, რომ "მხედრიონი" თავს აღარ გვესხმოდა. ეს სასამართლო პროცესები ხშირად იწელებოდა, თბილისში არც ვყოფილვარ, ქალბატონი ნაზი რომ მიდიოდა, მე სახლში ვრჩებოდი, თვეობით იწელებოდა პროცესები. მახსენდება მათი თანამებრძოლი სოსო მსხილაძე. ზვიადი და კობა რომ დაიჭირეს, სოსო სოფელ გამოჩინებულში, თავის სოფელში ემალებოდა პოლიციას. მისულა სოსოს მამასთან მაშინდელი სოფლის რწმუნებული და უთქვამს: შენს შვილს ტყუილად დევნილად ნუ მიიჩნევ, ვიცით, მას ავტომატი აქვს და ეს იარაღი ჩაგვაბაროსო. თანასოფლელ, მეზობელ პოლიციელს მამა ენდო და თავის შვილს გადასცა პოლიციის დანაბარები, სოსომაც ჩააბარა იარაღი. პოლიციას თურმე გადაეწყვიტა, მოეკლათ სოსო, ამოსულა ჯგუფი ადგილზე ლიკვიდაციისათვის, იარაღის ჩაბარების დღე წინასწარ იყო დათქმული. პოლიციელები ეზოში დაფნის ნარგავებში განთავსებულან, სახლშიც და ეზოშიც ყოფილან ჩასაფრებულნი. ბრძანება ჰქონიათ, ეზოში შემოსვლის შემდეგ ესროლათ სოსოსთვის. სოსოც ენდო, გამოვიდა და ხედავენ, რომ მოდის. ჭიშკართან მისულს დაუნახავს დაფნებიდან ავტომატის ამოშვერილი ლულა და მიმხვდარა, რაშიც იყო საქმე. ზემოდან ხალთი სცმია, ქვეშ იარაღი ჰქონია, პირველად თვითონ უსვრია, ატყდა ორმხრივი სროლა, გაუგებრად რომ ისროდნენ, სახლში იყო ორი პოლიციელი, ერთმა, უკან მდგომმა რომ ისროლა, რკინის ბოძს მოხვდა, მობრუნდა უკან და პოლიციელი გარდაიცვალა. სოსომ ამ არეულობაში მოახერხა გაქცევა, ერთ-ერთ პოლიციელს უთქვამს, იმ დაქანებაში რომ დაგორდა, ჩავთვალეთ, რომ მოვკალითო, მაგრამ სოსო ცოცხალი გადარჩა და გამოჩინებულის ტყეში შეასწრო. იყო მცდელობა, სოსოს დაბრალებოდა პოლიციელის სიკვდილი. ამ გარდაცვლილის მამაც მუშაობდა პოლიციაში და რომ ნახა იქაურობა, თავადვე უთქვამს, ეს იმ კაცის მოკლული არ არის, ცოდვაზე ცოდვას ნუ დაამატებთ, თქვით, რომელი იდექით ჩემი შვილის უკან და ვის ტყვიას ემსხვერპლაო? უკან კეფაში ჰქონდა გარდაცვლილს ტყვია მოხვედრილი. სამტრედიაში ამბავი ჩამოვიდა, სოსოს სახლში პოლიციელი მოუკლავსო, მაგრამ თავად გარდაცვლილის მამამ თქვა სიმართლე. პოლიცია ეძებდა სოსოს, თბილისიდან გამოიძახეს სპეცრაზმი, ტყეს ვერტმფრენებით წრეს უვლიდნენ, შემოდგომის პირს მთელი სოფლის მამაკაცები ჩამოიყვანეს სამტრედიაში, მოსავალს არ აგაღებინებთ, გვითხარით, თუ სოსოს თქვენ არ ეხმარებით, ისე ტყეში როგორ ძლებსო? სოსო ჩემთან ბევრჯერ ყოფილა, რამდენიმე დღე დარჩენილა კიდეც, ეს კეთილშობილი ადამიანი ყველას გვებრალებოდა. ერთ დღესაც, ღამის 1-ლ საათზე დედა მაღვიძებს: ადექი, აზა, სოსო მოვიდაო. ვერც წარმოიდგენთ, რა სასტიკად იდევნებოდა იმჟამად სოსო, ის ამბავი ვინმეს რომ შეეტყო, ყველას გაგვწირავდნენ. ჩამოვედი ქვემოთ, მახსოვს, რომ შევხედე შიშმა ამიტანა, მერე მას რომ არავინ მოსდია, გამიხარდა. თავისით გამოსულა ტყიდან, ორი-სამი ჩალის კონა დაუდია თავზე და გამოჰყოლია რკინიგზას, ასე მოვიდა ჩვენს ოჯახში დაღლილი, მშიერი, ჩაუცმელი და დაგლეჯილი სამოსით. იმ ღამესვე მივხედეთ, მოვასვენეთ. შემოდგომის დილაა, დედაჩემს ვეუბნები: შენ ყანაში წადი, მე სამსახურში წავალ, კარი დავკეტოთ-მეთქი. სოსო შიგნით ჩაკეტილი დავტოვეთ. სამსახურში ვფიქრობ, მივიდე და ნაზი დეიდას ვაცნობო, რომ ვუშველოთ სოსოს. ნაზი და მარინა ტირიან, წუხელის სოსო დაუჭერიათ გამოჩინებულში და მოკლავენო. ტყუილია, სოსო სახლში დავტოვე-მეთქი, ვუთხარი მათ. დამეტაკნენ და მკოცნიან, მოვახერხეთ ის, რომ მარინა მოვიდა ბიძის მანქანით (სოსო 4 დღე ჩემთან იყო, მასთან ტანისამოსი გამატანეს), მოჰყვა კოტე ბზიავა, ბიძა. სოსო ჩაუწვენიათ მანქანაში, ტომარა ჩამოუცვიათ მისთვის, ცოლ-შვილიც ჩაუსვამს კოტე ბზიავას და ასე ჩაუყვანიათ ბათუმში, მერე იქიდან მოახერხა რუსეთში გაპარვა, ასე გადარჩა სიკვდილს.

მახსოვს, თბილისში წავედი, ზვიადი და კობა პატიმრები რომ იყვნენ, ჩემი ძმის ოჯახი თბილისში ცხოვრობს. რა თქმა უნდა, იქ მივედი, არაფერი იყო საჩქარო. სამი დღე მარინასთან არ მოვსულვარ. აქ დედაჩემისთვის უთქვამთ, თითქოს მე და ნაზი წავედით მარინას ბინაში და ორივე დაგვაპატიმრეს. დედა ლამის გაგიჟდა, მაგრამ ნაზი რომ სახლში დაინახა, გაუხარდა. დავურეკე მარინას და მითხრა, აზა არ მინახავსო, უთქვამს დედასთვის ნაზი დეიდას. მეძებენ თურმე თბილისში, ამასობაში მარინასთან მივედი და გაუხარდათ. ასეთი ხმების გამავრცელებლები გვყავდა.

# დომენტი გოგიტიძე



დომენტი გოგიტიძე 1923 წლის 23 თებერვალს დაიბადა სამტრედიის რაიონის სოფელ ჭოგნარში. ჭოგნარის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. 1941 წლის აგვისტოში გაიწვიეს მეორე მსოფლიო ომში. 18 წლის ახალგაზრდა ლენინგრადის ბლოკადის მონაწილეთა რიგებში მოხვდა. აქვე დაიჭრა ნაღმის ნამსხვრევით, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ატარებდა. ომის დამთავრების შემდეგ იგი სამშობლოში მედლებით მკერდდამშვენებული დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო სამტრედიის გაზეთ ''წინსვლის'' რედაქციაში. პარალელურად სწავლა განაახლა ქუთაისის პედინსტიტუტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. შემდეგ მუშაობა განაგრძო საქართველოს რადიომაუწყებლობის კომიტეტში, სამტრედიის ზონაში (აბაშა, სამტრედია, ვანი, ხონი) და მთელი თავისი სიცოცხლე ჟურნალისტიკას დაუთმო. მისი რეპორტაჟების გმირები მშრომელი ადამიანები იყვნენ. მას შეხვდებოდით მექანიზატორებთან, მეჩაიეებთან, მესიმინდეებთან, მებოსტნეებთან, ფერმებში, მწყემსებთან, ფაბრიკა-ქარხნებში ხარატებთან, ზეინკლებთან და სხვა პროფესიის ადამიანებთან. ხალხს ახსოვს კაცი მუდამ მოფუსფუსე, თავაზიანი და თავისი საქმით გატაცებული, ერთგული მეგობარი, მამა და ბაბუა. საქართველოს რადიომაუწყებლობის საკუთარი კორესპონდენტი იმერეთის რეგიონში, არაერთხელ დააჯილდოეს სიგელებითა და ფულადი პრემიებით. დამსახურებული ჟურნალისტი 1989 წელს გარდაიცვალა. ჟურნალისტიკის გარდა, დომენტი გოგიტიძემ ლიტერატურაშიც დატოვა საკუთარი კვალი. მის კალამს ეკუთვნის მრავალი შესანიშნავი საბავშვო ლექსი, რომლებიც პერიოდულად ქვეყნდებოდა ჟურნალ-გაზეთებში. დომენტი გოგიტიძის ბევრი ლექსი სიმღერადაა ქცეული. რამდენიმე ლექსი კი შეტანილია საბავშვო გამოცემებში. ლექსების გარდა, მას ეკუთვნის ჩანახატები, ნარკვევები, რეპორტაჟები, მინიატურები, იუმორისტული პამფლეტები, რომლებიც დღემდე მკითხველთა დიდ სიყვარულს იმსახურებს.

წელს ბატონი დომენტი გოგიტიძის გარდაცვალებიდან 30 წელი სრულდება.

**ზამთარი**

ციდან ეშვება ფარფატით
თეთრი პეპლების ჯარი,
ფანტელებს ცხვრის ფარასავით
მიერეკება ქარი.
გადაბარდნილა მთა-ბარი,
გადაპენტილა ხენი,
გარეთ ქრის... სულში სითბოა,
გულიც სავსეა ლხენით.
თხილამურებით, ციგებით,
ვეწვიოთ მთებს და სერებს,
ჯერ ვისრიალოთ ხალისით
და ვიგუნდაოთ მერე.
თოვს ხვავიანად, ლამაზად,
ქარი თითისტარს ართავს
და ფეხქვეშ თეთრი ხალიჩა
შვენის ქათქათა ზამთარს.

**გაზაფხულის ლექსი**

ეს აპრილიც მოცქრიალდა,
ლამაზი და თვალჟუჟუნა.
აპრილს მოჰყვა სიო თბილი,
ფოთოლს ნაზად ჩასჩურჩულა:
_ გაიღვიძეთ, გენაცვალეთ,
განა ძილი არა კმარა?!
ცხრათვალა მზემ დაამშვენა
ოქროს თმებით ცის კამარა.
და კვირტებმაც თბილი ქარის
ტკბილი კოცნა როცა იგრძნეს,
გაახილეს ჭრელი თვალი,
ეშხიანად გაიღვიძეს.
გაიღვიძეს ისე ჩუმად,
ისე მშვიდად, ისე წყნარად,
რომ თვით ბაღმაც ვერ შენიშნა,
ფიფქით როგორ დაიფარა.
აქ ალუჩა სიცილს აფრქვევს,
იქ ატამი იღიმება,
ხეხილთ ბაღი გააშუქა
ყვავილების ჟინჟღილებმა.
ჩიტუნებმაც გაზაფხულის
საამური მღერა მორთეს,
გააღვიძეს ყველა კვირტი,
ფოთლებს ძილი შეუშფოთეს.
ყველგან შრომის ფერხულია,
ტკბება თვალი, ხარობს გული.
ვით ბაღნარში, ჩემს მამულში,
დგას კეკლუცი გაზაფხული.

**ჩემი ტკბილი საქართველო**

ცაში მთები აღმართულა,
მზეში ბრწყინავს მთა და მდელო,
ყვავილებით დახატულა
ჩემი ტკბილი საქართველო.
ბაღნარებში სიო ღელავს,
თბილი, როგორც დედის ხელი.
იალბუზი ისე ელავს,
ვით ზღაპრული გედის ყელი.
დეკემბერშიც კვირტი ფეთქავს,
იანვარში იავარდობს,
გადაწნულა ფერი ფერთან,
მიწა მზეობს, ცა ლაჟვარდობს.
დილის სიო ძალას მოგვცემს,
დაგვატყვევებს ტყეში შველი.
რა ტკბილია, ცვრიან მოლზე
რომ გაივლი ფეხშიშველი.
შევარდენი ცის თავს ეკვრის,
ჟრჟოლას მოგვგვრის ვარდის ეშხი.
ჩანჩქერები კისრისტეხით
მიფრინავენ უფსკრულებში.

**დედაენა**

ბავშვის გულის მარგალიტი,
ბავშვის სულის შვება-ლხენა,
_ აი ია, აი თითი, _
ჩაგვღუღუნებს დედაენა.
მისი ძუძუ გვიწოვია,
მისით მოგვდის აღმაფრენა,
მასში ყვავის გაზაფხული
და მაისის ვარდთა ფენა.
თბილი, როგორც დედის კალთა,
ტკბილი, როგორც დედის ნანა,
ცხოვრების გზა გაგვინათა,
ზედ თამამად გაგვიყვანა.
ესალმება ვაზი დილას,
ზვინთან ავი ზის ნაგაზი,
ლურჯი ველი მოფენილა
ყვავილების ფიანდაზით.
გულხატულა ასოები
ჯადოსნურად ჩაქარგული,
მწვანე ტევრში სასოებით
მოჩხრიალებს ნაკადული.
მერცხალს ოქროს ნისკარტითა
ბუდე აუშენებია.
ყმაწვილსა კარგი სწავლითა
დედა გაუხარებია.
დედაენა _ ცოდნის წყარო,
დედასავით სასურველი,
მის ფურცლებში სანეტარო
ია-იის დგას სურნელი.
ზოგი ასო ჩუქურთმას ჰგავს,
ზოგი _ ქარში მოხრილ ლერწამს.
რა ხელებმა აქანდაკა,
რა მარჯვენამ გამოძერწა!
ერეკება მწყემსი ფარას,
გაუშლია არწივს ფრთები,
ნისლის ქულებს დაუფარავს
ცადაწვდილი ლურჯი მთები.
დედაენავ, გულხატულა,
დედაენავ, გზანათელო,
შენს უბეში ჩაქარგულა
მშობლიური საქართველო.

**პეპელა და წვიმა**

ყაყაჩოზე პეპელა
დაჯდა, გაინაბა,
წამოვიდა შხაპუნა,
დაუსველა კაბა.
შეიშმუშნა, შეცბუნდა,
ფრთაფარფატა ჩუმი,
მზე გაბრწყინდა, გაუშრა
კაბა აბრეშუმის.
სიხარულით გაშალა
მოხატული ფრთები,
გადიფრინა გზა-შარა,
მინდვრები და მთები.

**მზიანი დილა**

შრიალებს ჯეჯილი ქოჩორა,
ცინცხალი დილაა მზიანი.
გამოდი ბოსლიდან, ბოჩოლა,
მოძოვე ბალახი რძიანი.

**მზიანი დღე**

ცა სადაროდ მოწმენდილა,
თავს იწონებს ქორფა დილა,
მთის ფერდობზე სიომ ფრთხილად
ააფრინა ნისლის ფთილა.

**სოფიკო ტერელაძეს**

უცებ ფარდა გაიხსნა
და კუდრაჭა გოგონა
დიდ სცენაზე აინთო,
როგორც ჭიაკოკონა.
შვენის ბაფთა ცისფერი
თვალხატულას, ცქრიალას.
ელავს წითელ კაბაში,
ვით ყაყაჩო ბრიალა.
ხელი მაღლა აღმართა,
ლექსი ჩააწკრიალა.
ხან მიბაძა მარცხალს და
ხანაც ვარდებს შრიალას.
იმღერა და იცეკვა
ისე ლაღად, ლამაზად,
ყოჩაღ, ყოჩაღ, სოფიკო,
იგრიალა დარბაზმა.
მსახიობი ყოფილა
ეს პატარა ქალიო.
დავლოცოთ და ვუსურვოთ
დიდი მომავალიო!

**ძღვნად ჩემს ქალიშვილს _ გულნარას**

შენ, ჩემო შვილო, ჩემო პირმშოვ, სულზე უტკბესო,
ნაზო ასულო, მზეჭაბუკ-გმირის სადარო,
მშვიდობის მტრედო მოღუღუნე, უსათნოესო,
სპეტაკი გრძნობით შემკობილო, ალალმართალო.
შენი უბადლო კარგშვილობით, მგზნებარე სულით,
გაასკეცე სიყვარული მამაშვილური,
მას სინატიფე და მშვენება შემატე სრული,
აგრემც იარე ქვეყანაზე გამარჯვებული!
და მომევლინე სიავისგან მხსნელად, დამცველად,
სიცოცხლის მედგარ მფარველად და გადამრჩენელად,
შუქი მომფინე, ვით სინათლეს მზე მოფენს ველად,
შეუძლებელი შენ აქციე შესაძლებელად.
ავადმყოფობა შემერკინა, გამიკრთო ძილი,
ვიწექ უღონო, უმწეო და სასომიხდილი,
სიცხე ცეცხლივით შემომენთო, გამიშრა პირი,
ჟამი დამიდგა ძნელბედობის და გასაჭირის.
ავმა სიზმრებმა მთა და ბარი შემომატარა,
სევდის ფიქრებმა აღმა-დაღმა სად არ მატარა,
საფრთხეში იყო სიცოცხლე და ეგ ჩემი ბედი,
ამ დროს გამოჩნდი შენ ჩემი მზე, დიდი იმედი.
პალატის კართან აკაშკაშდი, როგორც ცისკარი,
როგორც ცისკარი მაისისა _ ლაღი, ცინცხალი.
შემოცქრიალდი, მეამბორე, მითხარ თამამად:
ნუ გეშინია! მე აქა ვარ! გამაგრდი, მამა!
მამაკაცი ხარ, ვაჟკაცი ხარ, მაშ წარბს ნუ შეხრი!
ავადმყოფობა? _ ის იქნება დამარცხებული,
ვით ტარიელის მიერ ცაში ნატყორცნი ვეფხვი
და მერე ძლევით ძირს უსულოდ დანარცხებული.
მეფერებოდი, მამხნევებდი, თავს მევლებოდი,
როგორც მერცხალი თავის ბარტყებს _ მაწვდიდი ლუკმას.
ბოროტი სენი უკუ იქცა, თავს უკეთ ვგრძნობდი
და თვალებშიაც გაიელვა იმედის შუქმა.
ფიქრში არ ვიყავ, შენ კი ჩემთან ჩნდებოდი უმალ,
შარავანდედით შემოსავდი მამის სასთუმალს.
და გაიმარჯვა ნებისყოფამ, სიკეთემ, ზრუნვამ,
ფეხზე დავდექი, ბოროტს ვძლიეთ და გაქრა ჭმუნვაც.
ყოველ განთიადს ვეგებები ახლა ჯანმრთელი,
წინ სიხარულად მიმიძღვება შენი ნათელი,
დამშვენებულო მაისის მზის ცისარტყელებით,
დასაკოცნია მაგ ბაჯაღლო ოქროს ხელები.
ღირსებით სავსე შვილი მშობლის გულის ვარდია,
ეს შენისთანა კარგ გოგოზე არის ნათქვამი,
ვლოცავ შენს ალალ, კეთილ გულს და მარჯვენს მადლიანს,
ჩემო გულიკო, სიამაყევ მშობელ დედ მამის.

*დიდი სიყვარულითა და მადლიერების გრძნობით*

*შენი მამა*

*1987 წ. 10 თებერვალი, სამტრედია*

**სიმღერა სამტრედიაზე**

*(მუსიკა მზია ჯინჭველაშვილისა)*

ედემს ჰგავხარ სილამაზით
იმერეთის ნატვრის თვალი,
ნანას გიმღერს მტრედის ხმაზე
რიონი და ცხენისწყალი.
შენ სამშობლოს ზრუნვამ გზარდა,
მისი სიბრძნის შუქი გმოსავს,
საოცნებო მწვერვალისკენ
გამარჯვების მიგაქვს დროშა.
სამტრედია, სამტრედია, გენაცვალები!
შემკობილო გაზაფხულის მზის ბრწყინვალებით!
ღამით სავსე მთვარესავით
შუქთა ზღვაში იბადრები,
ლამაზ ქუჩებს და მოედნებს
ასხივოსნებს ჩირაღდნები.
შრომის, ოქროს გასაღებით
დიდ მომავლის კარებს აღებ,
კვლავ ემატოს ხვავ-ბარაქა
შენს ყანებს და ბაღჩა-ბაღებს!
სამტრედია, სამტრედია, გენაცვალები!
შემკობილო გაზაფხულის მზის ბრწყინვალებით!

---

მეუღლე ზალიკო გადელია, შვილები სალომე, სოფო, ლიზი, სიძეები კახა წიკლაური და ონისე ჩერქეზია, დედამთილი ნელი თოდუა, დები, ძმები და ახლო ნათესავები იუწყებიან



**ნუნუ როსტობაია - გადელიას**

გარდაცვალებას.

---

ფანჯიკიძის ქუჩაზე მცხოვრები მეზობლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნუნუ როსტობაია-გადელია**

და თანაუგრძნობენ ზალიკო გადელიას ოჯახს ძვირფასი მეუღლის, დედისა და ბებიის გარდაცვალების გამო.

---

მურად გელეიშვილი და ლევან გაბეჩავა თანაუგრძნობენ ომარ ჩაჩუას მამის,

**ალიხო ჩაჩუას**

გარდაცვალების გამო.

---

კახა კიკვაძე და ნათია ნაცვლიშვილი თანაუგრძნობენ ომარ ჩაჩუას მამის,

**ალიხო ჩაჩუას**

გარდაცვალების გამო.

---

სამტრედიის მე-12 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, უფროსი თაობის მასწავლებელთა ღირსეული წარმომადგენელი **თალიკო ქართველიშვილი**. იგი მთელი თავისი ცხოვრებით იყო დაკავშირებული ჩვენს სკოლასთან: აქ აღიზარდა, როგორც მოსწავლე და უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ კვლავ მშობლიურ სკოლას დაუბრუნდა, როგორც პედაგოგი. თალიკო მასწავლებელი მრავალი ათეული წლის განმავლობაში იაკობ გოგებაშვილის ''დედაენით'' უღებდა ცოდნის კარს მომავალ თაობებს, უნერგავდა მათ ქართული ენისა და სამშობლოს სიყვარულს. ის იყო სამაგალითო ადამიანი და არაჩვეულებრივი კოლეგა, სიკეთით, კეთილშობილებით, სიყვარულით სავსე პედაგოგი, რომლის ნათელი ხსოვნა არასოდეს ჩაქრება ჩვენსა და მისი აღზრდილების გულებში.



---

სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრი თანაუგრძნობს ელიზა და გია ცხვირავაშვილებს დედის, ღვაწლმოსილი პედაგოგის, ქალბატონი

**თალიკო ქართველიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ამირანი, შვილი კარლო, რძალი ხატია ძიგუა, შვილიშვილები გაბრიელი და მათე იუწყებიან საყვარელი მეუღლის, დედისა და ბებიის,

**მზევინარ ტარიელის ასული თარგამაძე-ჩაჩუას**

გარდაცვალებას.

---

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, სოფელ ოფეთის პირველი საჯარო სკოლის დირექტორი

**მზევინარ თარგამაძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



---

გაზეთ ''სამტრედიის მაცნის'' რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ოფეთის პირველი საჯარო სკოლის დირექტორი

**მზევინარ თარგამაძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

# ფოტო განწყობისთვის




თაია ჯინჭარაძე

## გამარჯვება სცუმრად

საქართველოს ახალი მოქმედი ჩემპიონი თბილისის "საბურთალო" "უეფას" ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან გამოვარდნის შემდეგ გადაერთო და ბრძოლას აგრძელებს "უეფას" ევროპის ლიგაზე, რომელიც 6 აგვისტოს მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში სომხეთის დედაქალაქ ერევანში დაუპირისპირდა ადგილობრივ "არარატ არმენიას" გუნდს და დაამარცხა იგი ანგარიშით 2:1.

თბილისის "საბურთალო" განმეორებით შეხვედრას 14 აგვისტოს გამართავს თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის "ლოკომოტივის" სტადიონზე.

## ბელგია ლიდერობს

მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა უწყება "ფიფამ" მსოფლიოს სანაკრებო რეიტინგი განაახლა.

რეიტინგს 1746 ქულით სათავეში უდგას ბელგიის ეროვნული გუნდი. მომდევნო ადგილებზე შესაბამისად არიან მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ბრაზილიის (1726 ქულა) და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი საფრანგეთის (1718 ქულა) ეროვნული გუნდები.

საქართველოს ეროვნული ნაკრები 1255 ქულით კვლავ 94-ე ადგილზეა. ყოფილი საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებიდან ყველაზე უკეთესი პოზიცია აქვს უკრაინის ნაკრებს, რომელიც 1513 ქულით 25-ე ადგილზეა. ხოლო ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების მეტოქეებიდან საუკეთესო შედეგი მოპოვებული აქვს შვეიცარიის ნაკრებს, რომელსაც 1605 ქულით მე-11 ადგილი უკავია.

ილია ნიკოლეიშვილი

# ვულოცავთ!



**დეკანოზ ანტონს (ვაშაკიძე)!**

უდიდესი პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს! უფალმა უმრავლოს ჩვენს ქვეყანას თქვენნაირი ერის შვილები, დედაეკლესიას თქვენნაირი ღვთისმსახურნი.

დაგლოცოთ, გაგაძლიეროთ უფალმა!

ლევან გაბეჩავა



**თენგიზ ცაგურიას!**

გილოცავთ დაბადების დღეს.

ჯანმრთელობასა და წარმატებებს გისურვებთ!

"სამტრედიის მაცნე"



**ლუკა ლევიძეს!**

ნიჭიერ, პერსპექტიულ ახალგაზრდას სიყვარულით ვულოცავთ დაბადების დღეს. ყოველი დილის გათენებას სიხარული და ბედნიერება მოეტანოს შენთვის, ჩვენო ლუკა.

უფალი გმეგზურობდეს!

"სამტრედიის მაცნე"



**მაია კახიანს!**

დაბადების დღეს გილოცავთ კეთილშობილ ქალბატონს. წარმატებებს გისურვებთ საზოგადოებრივ საქმიანობაში. იდღეგრძელეთ!

ბექან გოგია და თამაზ ნიკურაძე



**ირაკლი გალდავას!**

დაბადების დღეს გილოცავთ საუკეთესო სურვილებით. მზესავით ლამაზ ბიჭს მზესავით გებრწყინოს. გვიყვარხარ და გვეიმედები. საამაყო ბიჭი გაიზარდე საამაყო მშობლებისთვის, ჩვენი დიდი ოჯახისთვის და ქვეყნისთვის! უფლის წყალობა არ მოულებოდეს შენს დღეგრძელ სავალს!

მარინა ბებო. სოფო და ზუკა სტურუები



**დათუნა გიგინეიშვილს!**

იუბილეს გილოცავთ! წარმატებებს გისურვებთ. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს შენ და შენს ოჯახს!

ბექან გოგია და თამაზ ნიკურაძე

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული გრაფიკა მაკა პაპავა